სახელმძღვანელო

კვიპროსზე განათლების

შესახებ

განათლებისა და კულტურის სამინისტრო
კვიპროსის პედაგოგიური ინსტიტუტი

შემადგენლობა

მიღების წესების შესახებ სახელმძღვანელოს გამომცემელი კომიტეტის წევრები
ანდრეას სკინისი, საშუალო განათლების გენერალური ინსპექტორი
მარიოს კირიაკიდისი, დაწყებითი განათლების ინსპექტორი
პანაიოტა შაკალი, საშუალო ტექნიკური და პროფესიონალური განათლების ინსპექტორი
მიხალის ნიკოლაუ, განათლების უფროსი სპეციალისტი
ერნი სისმანი, განათლების I კატეგორიის სპეციალისტი
მარია არესტიდუ, საკონსულტაციო და პროფესიონალური აღზრდის სამსახურის სპეციალისტი
გავრიილ კარალისი, პედაგოგიური ინსტიტუტის დოკუმენტირების განყოფილების გამგე

გამოცემის საერთო ზედამხედველობა
გავრიილ კარალისი, პედაგოგიური ინსტიტუტის დოკუმენტირების განყოფილების გამგე

გამოცემის კოორდინირება
ხრისტოს პარპუნასი, პროგრამების შემუშავების სამსახურის კოორდინატორი

გამოცემის ენობრივი მხარდაჭერა
თეულა ეროტოკრიტუ–სტავრუ, ფილოლოგი

გამოცემის პროექტირება და ელექტრონული გაფორმება
თეოდოროს კაკულისი, პროგრამების შემუშავების სამსახურის სპეციალისტი

© MINISTRY OF EDUCATION AND CULTURE
ISBN 978-9963-0-9093-8
Set: ISBN 978-9963-0-9096-9

წინასიტყვაობა 8

მოსწავლეთა ძირითადი უფლებები 12

კვიპროსის სკოლებში განათლების მიღების უფლება 12

აზროვნების, სინდისის და რწმენის თავისუფლება 13

სხვა უფლებები 13

საჩივრების შეტანა 14

მრავალკულტურული აღზრდისა და განათლების მიზნები. სპეციალური დებულებები უცხოელი მოსწავლეებისთვის 16

ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამა 17

დაწყებითი განათლება 17

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და სპეციალურ–ტექნიკური საშუალო განათლება 17

სკოლამდელი და დაწყებითი განათლება 27

საბავშვო ბაღები 29

საბავშვო ბაღების სახეობები 29

ბავშვის ასაკობრივი ცენზი საბავშვო ბაღში 30

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საბავშვო ბაღში ჩაწერის ან განაცხადის შეტანის ვადები 31

სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბავშვო ბაღებში ბავშვების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა 31

სწავლის გადასახადი 32

განრიგი და სადღესასწაულო დღეები საბავშვო ბაღებში 32

დაწყებითი სკოლები 32

დაწყებითი სკოლების სახეობები 33

გახანგრძლივებული დღის სკოლა 34

განაცხადის შეტანა დაწყებით სკოლებში 34

მოსწავლეთა გადაყვანა სხვა სკოლაში 35

მოსწავლეთა გადასვლა მომდევნო კლასში 36

წლის განმეორება განსაკუთრებულ შემთხვევებში 36

სწავლის ვადის შეჩერება და გახანგრძლივება 36

მოსწავლეთა მიერ მეცადინეობების გაცდენა 37

მეცადინეობების განრიგი და საგნების შერჩევა 37

საშინაო დავალება/სასკოლო ჩანთა 37
სასკოლო დღესასწაულები 38
საგანმანათლებლო პროგრამები 38
სასკოლო ფორმა 40
სკოლის სასადილო 40
მოსწავლეთა უსაფრთხოება 40
სპეციალური აღზრდა და განათლება 41
შემდგომი განათლების ცენტრები 41
საფასური 42
მეცადინეობების დაწყება და დასრულება 42
საგანმანათლებლო საზაფხულო ლაშქრობები 42
საერთო ძირითადი ცნობები საბავშვო ბაღების, დაწყებითი და სპეციალიზებული სკოლების მუშაობის შესახებ 43
სასწავლო წლის დაწყება და დასრულება 43
სასკოლო დღესასწაულები 43
ბავშვების მეურვეები 44
მშობლების და სხვა პირების სკოლაში მისვლა 44
სკოლის დახურვა საგანგებო შემთხვევებში 44
მშობელთა ასოციაცია 44
კავშირი განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან 45
ზოგადი საშუალო განათლება 47
გიმნაზია 47
სავალდებულო სწავლა – უფასო განათლება 47
მიზანი 47
დისციპლინების შერჩევა 48
უცხო ენები 50
მოსწავლეთა ცოდნის შეფასება და მომდევნო კლასში გადაყვანა 50
გაერთიანებული ლიცეუმი 52
მიზნები 52
დისციპლინების პროგრამა და მეცადინეობები 55
პროგრამა „აქტიურობა – შემოქმედება – საზოგადოებრივი წვლილი“ გაერთიანებულ ლიცეუმში 64
შეფასების სისტემა 65
საკონტროლო სამუშაოების სახეები და შინაარსი 65

საკონტროლო სამუშაოს გაცდენა 65
საგამოცდო საგნები. მოსწავლის გადასვლა ლიცეუმის მომდევნო კლასში 66
საღამოს გიმნაზიები 69
სპეციალური აღზრდა და განათლება 69
საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლება 70
ტრადიციული პროფესიულ–ტექნიკური განათლება 70
ფაკულტეტები და სპეციალობები 70
დისციპლინების პროგრამა და მეცადინეობების განრიგი 71
კურსდამთავრებულთა პერსპექტივები 73
შემდგომი სწავლა 73
პროფესიული სწავლების სისტემა 73
კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები 74
საღამოს ტექნიკური სკოლები 74
დღისა და საღამოს კურსები ტექნიკური სკოლის ბაზაზე 74
ზოგადი მნიშვნელოვანი ცნობები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, და ასევე საშუალო პროფესიულ–ტექნიკური სკოლების მუშაობის შესახებ 75
განაცხადების შეტანა 75
მოსწავლის გადასვლა სხვა სკოლაში 76
სასწავლო წლის დაწყება და დამთავრება 77
არასასწავლო სასკოლო დღეები 77
სასკოლო დღესასწაულები 78
მოსწავლეთა მოვალეობები 78
ტრადიციული სწავლა. მეცადინეობების გაცდენა. 80
სკოლის ტერიტორიის ფარგლებს მიღმა გასვლის ნებართვა 81
მოსწავლეთა ყოფაქცევა 82
აღმზრდელობითი ზომები 82
დისციპლინარული საბჭო 82
დახმარება და მხარდაჭერა კერძო ხასიათის საკითხებში 83
კათედრაზე წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების პროცედურა 83
მოსწავლეთა მეურვეები 84
სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები 84
გამოცდები 86
განაცხადების შეტანა 86

პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახური 88
ისტორიული ცნობა 88
მისია და მიზნები 88
პედაგოგი–ფსიქოლოგების როლი 88
კომიტეტები 89
პროგრამების, დაკვირვებისა და ანალიზის კომიტეტი 89
სამსახურის სტრუქტურა 90
სამსახურის სტრუქტურა 90
პროფესიული აღზრდის საკითხებში კონსულტაციის სამსახური 92
პ.ა.ს.კ.ს.–ის როლი სკოლებში 93
პროფესიული აღზრდის საკითხებში კონსულტაციების სამსახური (პ.ა.ს.კ.ს.) გიმნაზიებში 93
პ.ა.ს.კ.ს. გაერთიანებულ ლიცეუმებში/ტექნიკურ სკოლებში 93
კავშირი განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან 94
უმაღლესი განათლება კვიპროსზე 96
სახელმწიფო უნივერსიტეტები 96
კვიპროსის უნივერსიტეტი (www.ucy.ac.cy) 96
კვიპროსის ღია (დაუსწრებელი) უნივერსიტეტი (www.ouc.ac.cy) 96
კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (www.cut.ac.cy) 97
კერძო უნივერსიტეტები 97
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები 98
კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები 98
აკადემიური ხარისხების ატესტაცია (www.kysats.ac.cy) 99
კვიპროსის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღების წესი 100
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები 100
კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები 102
საკონტაქტო ინფორმაცია 102

წინასიტყვაობა

უცხოელ მოსწავლეთა მიღების წესების სახელმძღვანელო გამოიყენება კვიპროსის რესპუბლიკის განათლების პოლიტიკის ფარგლებში სხვა კულტურისა და ენის მატარებელ მოსწავლეთა კვიპროსის საზოგადოების განათლების სისტემასთან თანდათანობითი ადაპტაციისთვის.

განათლებისა და კულტურის სამინისტრო მთელი რიგი ზომების მიღებით აპირებს დემოკრატიულად ორგანიზებული განათლების სისტემის შექმნას, რომელშიც უპირატესობა მიენიჭება საზოგადოების მრავალფეროვნებას და მრავალკულტურულობას, როგორც სინთეზისა და შემოქმედებითი საწყისის ელემენტს, და როგორც ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის საშუალებას. ამ მიმართულების ძირითადი მიზანია ყველა მოსწავლის გამდიდრება ცოდნით ცხოვრების მოწყობის, სხვა ხალხების გამოცდილებისა და ფასეულობების, მსოფლიო ფასეულობების, სხვა სოციალური სტერეოტიპებისა და შეხედულებების მიღების შესახებ.

ამასთან, ასეთი პრინციპები ხელს უწყობს მშვიდობიანი თანაარსებობისა და პროგრესისთვის პირობების შექმნას როგორც კვიპროსზე და მრავალკულტურულ ევროპაში, ასევე მთელ მსოფლიოში.

ამ გამოცემის განსაკუთრებული მიზანია უცხოენოვანი ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის ინფორმაციის მიწოდება განათლების უფლების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფილია ყველასთვის კვიპროსის სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია შეიცავს სპეციალურ ინფორმაციას მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ კვიპროსის სკოლებში, ასევე ინფორმაციას განათლების სისტემის შესახებ, სწავლის პერსპექტივებსა და მიმართულებებზე სამივე საგანმანათლებლო ეტაპზე: სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს, ასევე დიპლომის შემდგომ ეტაპებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ მიღების წესების შესახებ ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ყველა ბავშვის ადაპტაციას სკოლის კოლექტივთან, ასევე მათი და მათივე ოჯახების შეგუებას კვიპროსის საზოგადოებაში ცხოვრებასთან.

ჩემი რწმენა ეფუძნება იმას, რომ მოწოდებული აუცილებელი ინფორმაციის გარდა, პრაქტიკაში სახელმძღვანელო მოწმობს, რომ განათლებისა და კულტურის სახელმძღვანელო ყველა მოსწავლის მიმართ, გამონაკლისების გარეშე, იყენებს სასკოლო განათლების მუნიციპალურ სისტემაში თანაბარი

ხელმისაწვდომობის, მონაწილეობისა და წარმატებების მიღწევის შესაძლებლობების შექმნის პრინციპს, როგორც საზოგადოების ცხოვრებაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობის ფუძემდებლურ პირობას.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული კმაყოფილება მინდა გამოვხატო ამ სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით უცხოენოვანი მოსწავლეებისა და მათი ოჯახებისთვის მშობლიურ ენაზე.

ანდრეას დიმიტრიუ

განათლებისა და კულტურის მინისტრი

მოსწავლეთა ძირითადი უფლებები

კვიპროსის სკოლებში განათლების მიღების უფლება

განათლების მიღების უფლება, რომელიც გარანტირებულია კვიპროსის კონსტიტუციის მე–20 მუხლით, **„ვრცელდება არა მარტო კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეებზე, არამედ ასევე თანაბრადაა გარანტირებული უცხოელი მოქალაქეებისთვისაც...** უცხოელთა და ლტოლვილთა საქმეების კომისიიდან შესაბამისი დოკუმენტის არწარდგენა, რომელშიც მითითებულია კვიპროსის რესპუბლიკაში მშობლების ცხოვრების დროებითი უფლების ამოწურვის ვადა, ან ცხოვრების უფლების მოქმედების ვადა, ან ამ ქვეყანაში მშობლების ყოფნის მიზეზი, კანონის თანახმად, არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ უცხოელი მოსწავლეები მიიღონ ან უარი უთხრან მათ დაწყებითი განათლების დაწესებულებაში მიღებაზე...“

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ასევე, აუცილებელი განათლების შესახებ 1993 წელს მიღებული კანონის თანახმად, **ყველა მშობელს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს უფასო დაწყებითი განათლება შესაბამის ადგილობრივ დაწყებით სკოლებში, ჩვენს კუნძულზე ცხოვრების ლეგალური ან არალეგალური სტატუსისგან დამოუკიდებლად.** ამასთან ერთად, უზენაესი მოსამართლის დადგენილების თანახმად, **„ყველა მოსწავლე, როგორც კვიპროსელი თურქი, ასევე უცხოელი, ვალდებულია დაიცვას კვიპროსის სასწავლო დაწესებულებების კანონები და წესები“**. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ შემუშავდეს კანონები და წესები სასკოლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც საერთო იქნება როგორც კვიპროსელი ბერძნებისთვის და კვიპროსელი თურქებისთვის, ასევე უცხოელი მოქალაქეების შვილებისთვის.

ამგვარად, განათლების უფლება აღნიშნულია კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუციაში, საიდანაც გამომდინარეობს, **რომ ყველა მოსწავლეს გარანტირებული აქვს დაწყებითი განათლების მიღების შესაძლებლობა მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.**

აზროვნების, სინდისის და რწმენის თავისუფლება

თურქ–კვიპროსელ მოსწავლეებთან დაკავშირებით განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მუშავდება რიგი ღონისძიებებისა, ასე, მაგალითად, **დილის საათებში ბერძნული ენის შესწავლის ინტენსიური კურსების გამართვა, უფასო საუზმე სკოლებში, გახანგრძლივებული რეჟიმის სკოლებში უფასო სადილი, ორ ენაზე მოსაუბრე მასწავლებლების** შერჩევა დილის სწავლის სკოლებში სამუშაოდ, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის ურთიერთობის გამარტივების მიზნით; **სასწავლო პროგრამის დიფერენციაცია** თურქი–კვიპროსელებისთვის, რათა მათ შეძლონ მშობლიურ ენაზე ჩატარებულ რელიგიათმცოდნეობის და ისტორიის გაკვეთილებზე დასწრება; **დაწყებითი განათლების კერძო სკოლებში** თურქი–კვიპროსელების **სწავლის საფასურის გადახდა, ბერძნული და თურქული ენების უფასო გაკვეთილების** ჩატარება **(ბავშვებისა და უფროსებისთვის) თურქი–კვიპროსელებისთვის საგანმანათლებლო ცენტრებში** და ა.შ.

სხვა უფლებები

სკოლა კომპეტენტურ ორგანოებთან ურთიერთქმედებით კისრულობს ვალდებულებას თანდათანობით გამოიმუშავოს ტრადიციები, რომლებიც ყველა მოსწავლეს შეუქმნის შემდეგ გარანტიებს:

• ხელსაყრელი ატმოსფერო და პედაგოგების ხარისხიანი მომსახურება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი, ჯანმრთელი და ჩამოყალიბებული პიროვნების განვითარებას.

• ყველა მოსწავლის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი საზოგადოებრივი ადგილებისა და დაწესებულებების ჰიგიენა და უსაფრთხოება.

• ფიზიკური ჯანმრთელობის გასამყარებელი და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენის მომსახურებისა და პროგრამების შეთავაზება.

• პროფილაქტიკური და თერაპევტული პროგრამების შეთავაზება სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების, უცოდინრობის და სასკოლო მასალის ათვისებისას წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად.

• ურთიერთპატივისცემის პროპაგანდა.

• რეგულარული სწავლის წახალისება და მეცადინეობების გაცდენების შემცირება.

• სასკოლო დისციპლინის დამყარება ისეთი მეთოდით, რომელიც არ შეეხება მოსწავლის, როგორც ადამიანის, პირადი ღირსების გრძნობას, და 1999 წ. და 2000 წ. „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კანონის დებულებების შესაბამისად.

მოსწავლეებს უფლება აქვთ და ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ყველა სასკოლო ღონისძიებაში (მათ შორის ექსკურსიებში და ეკლესიებში მასობრივ გასვლებში) იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გაცემულია სკოლის დირექტორის სპეციალური ნებართვა ასეთ ღონისძიებებში არმონაწილეობის შესახებ.

მოსწავლეებს უფლება აქვთ აირჩიონ და ასევე არჩეულნი იყვნენ სკოლის საბჭოში.

საჩივრების შეტანა

სკოლის მუშაობის წესების თანახმად, ყოველ მოსწავლეს უფლება აქვს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეიტანოს განცხადება ან საჩივარი შესაბამის ორგანოებში. წერილობითი განცხადება ან საჩივარი რომელიმე პედაგოგთან დაკავშირებით აუცილებლად გადაეგზავნება განსახილველად სასწავლო დაწესებულების დირექტორს, რომელიც საქმის კურსში ჩააყენებს ამ პედაგოგს და მისი აზრის მოსმენის შემდეგ აგზავნის საჩივარს ზემდგომ ინსტანციაში საკუთარ შენიშვნებთან ერთად.

მრავალკულტურული აღზრდისა და განათლების მიზნები. სპეციალური დებულებები უცხოელი მოსწავლეებისთვის

მრავალკულტურული აღზრდისა და განათლების მიზნები. სპეციალური დებულებები უცხოელი მოსწავლეებისთვის

მრავალკულტურულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებით განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს უკლებლივ ყველა თურქი–კვიპროსელის და უცხოელი მოსწავლის მონაწილეობა კვიპროსის განათლების სისტემაში ეროვნული ნიშნით დაყოფის გარეშე.

მრავალკულტურულ აღზრდასა და განათლებაში იგულისხმება შემდეგი:

• უცხოელი და სამშობლოში დაბრუნებული ოჯახების ბავშვებისთვის ბერძნული ენის შესწავლის ინტენსიური და მრავალმხრივი პროგრამების უზრუნველყოფა უფრო პროდუქტიული ურთიერთობებისა და ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობისთვის.

• კვიპროსის საზოგადოების ყველა წევრის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა რაიმე სახის რასისტული გამოვლინებისა და საზოგადოებრივი იზოლაციის მცდელობებისგან.

• უცხოურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.

ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამა

დაწყებითი განათლება

დაწყებითი განათლების განყოფილება ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს განათლების სტრატეგიული პროგრამის ფარგლებში:

• მრავალკულტურული განათლების პროგრამის შემუშავება სასკოლო ღონისძიებების ფარგლებში.

• ახალ სასკოლო და სოციალურ გარემოში მოხვედრილი ბავშვების დახმარება.

• საზოგადოებრივი კრებების ჩატარება მოსწავლეთა ოჯახების მონაწილეობით.

• მშობლებისთვის თარჯიმნის მომსახურეობის უზრუნველყოფა სკოლასთან ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით.

• ბერძნული ენის ცალკე სასწავლო კათედრების ორგანიზება ბავშვებისთვის მესამე ქვეყნებიდან (დილის ცვლა).

• ბერძნული ენის ცალკე სასწავლო კათედრების ორგანიზება ბავშვებისთვის მესამე ქვეყნებიდან (საღამოს ცვლა საგანმანათლებლო ცენტრებში).

• ბერძნული ენის, როგორც უცხოური ენის, სასწავლო კათედრების შექმნა მომუშავე ემიგრანტებისთვის, ქალებისთვის და ა.შ.

ამ სქემის ფარგლებში უცხოელი მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაწყებით განათლებას იღებენ, **ხდება ბერძნული ენის სწავლის დამატებითი ინტენსიური პროგრამის** უზრუნველყოფა **დილის საათებში**. ამასთან ერთად, საგანმანათლებლო ცენტრებში საღამოს საათებში ასევე მოქმედებს ბერძნული ენის სწავლის სპეციალური კათედრები მოსწავლეთათვის მესამე ქვეყნებიდან, ასევე პოლიტიკური ლტოლვილებისთვისაც.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და სპეციალურ–ტექნიკური საშუალო განათლება

ცნებაზე „მოსწავლე–მსმენელი“ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე ათვისებული იქნა უცხოელი მოსწავლეების ჩვეულებრივ კლასებში მიღების პრინციპი მათი მოსწრების დონის შესაბამისად და მათი უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით, და რომლებიც გათანაბრებულნი

არიან ყველა სხვა მოსწავლესთან.

2008–2009 სასწავლო წლის განმავლობაში **ცდის სახით**, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება მისი ქმედითუნარიანობა და სავარაუდო ღირებულება მომავალში, სტარტს იღებს უცხოელი მოსწავლეების მიერ ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამა კვიპროსის 16 (თექვსმეტ) სკოლაში (გიმნაზია–ლიცეუმი–ტექნიკუმი), რომლებშიც დიდი ოდენობით უცხოელი მოსწავლეები სწავლობენ.

ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამის დანერგვის მიზნით ცვლილებები შედის საგნების პროგრამაში იმ უცხოელ მოსწავლეთათვის, რომლებიც ბერძნულ ენას ფლობენ ზედაპირულად ან საერთოდ არ ფლობენ, იმ დრომდე, ვიდრე ისინი გადავლენ შესაბამის ენობრივ დონეზე **ორი სხვადასხვა ეტაპის** შედეგად დამწყებთათვის და მათთვის, ვინც აგრძელებს ენის შესწავლას. ასეთი მოსწავლეები **თავისუფლდებიან გარკვეული მეცადინეობებიდან**, რომელთა გაგებაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ან რომლებზე დასწრებაც არ არის აუცილებელი (ასე, მაგალითად, ძველბერძნული ენა, რელიგიათმცოდნეობა, ისტორია). **ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის გაკვეთილების რაოდენობა უდრის** იმ გაკვეთილების რაოდენობას, რომლებისგანაც გათავისუფლდნენ აღნიშნული მოსწავლეები, ანუ – ძველბერძნული ენა, რელიგიათმცოდნეობა, ისტორია. ქვემოთ მოყვანილია ამ მოსწავლეების მეცადინეობების სქემა ყოველ კლასში:

ა) გიმნაზია და ლიცეუმი. საგნები და მეცადინეობების რაოდენობა

კლასი	საგანი	საათების რაოდენობა
გიმნაზია (სწავლის პირველი წელი)	ძველბერძნული ენა	3
	რელიგიათმცოდნეობა	2
	ისტორია	3
	საათების საერთო ოდენობა	**8**
გიმნაზია (სწავლის მეორე წელი)	ძველბერძნული ენა	3,5
	რელიგიათმცოდნეობა	2
	ისტორია	2
	საათების საერთო ოდენობა	**7,5**
გიმნაზია (სწავლის მესამე წელი)	ძველბერძნული ენა	3,5
	რელიგიათმცოდნეობა	2
	ისტორია	2
	საათების საერთო ოდენობა	**7,5**
კლასი	**საგანი**	**საათების რაოდენობა**
ლიცეუმი (სწავლის პირველი წელი)	ძველბერძნული ენა	3
	რელიგიათმცოდნეობა	2
	ისტორია	3
	საათების საერთო ოდენობა	**8**
ლიცეუმი (სწავლის მეორე წელი)	ძველბერძნული ენა	1
	რელიგიათმცოდნეობა	1,5
	ისტორია	1,5
	საათების საერთო ოდენობა	**4**
ლიცეუმი (სწავლის მესამე წელი)	ძველბერძნული ენა	-
	რელიგიათმცოდნეობა	2
	ისტორია	2
	საათების საერთო ოდენობა	**4**

იმის გამო, რომ ტექნიკურ სკოლებში ძველბერძნული ენა არ ისწავლება, ხოლო ისტორიის შესწავლას ეთმობა მხოლოდ 1 სასწავლო საათი, უცხოელი მოსწავლეები თავისუფლდებიან ასევე თანამედროვე ბერძნული ენის მეცადინეობებიდან იმ მიზნით, რომ ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის გაკვეთილების რაოდენობამ კვირაში, როგორც მინიმუმ, 6 საათს მიაღწიოს.

ბ) ტექნიკური სკოლები. საგნები და მეცადინეობების რაოდენობაriods

კლასი	საგანი	საათების რაოდენობა
სწავლის პირველი, მეორე და მესამე წლები	რელიგიათმცოდნეობა	1
	ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა	1
სწავლის პირველი და მეორე წლები	თანამედროვე ბერძნული ენა	4
სწავლის მესამე წელი	თანამედროვე ბერძნული ენა	5
ავლის პირველი და მეორე წლები	**საათების საერთო რაოდენობა**	**6**
სწავლის მესამე წელი	**საათების საერთო რაოდენობა**	**7**

გ) საღამოს სკოლები

უცხოელ მოსწავლეებს, რომლებიც საღამოს სკოლებში დადიან, ასევე საშუალება აქვთ დაესწრონ ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის მეცადინეობებს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სსდ) დღის საათებში, საღამოს სკოლაში მეცადინეობების დაწყებამდე. ასეთი მეცადინეობებისთვის ყველაზე შესაფერის დროდ ითვლება 15:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე კვირაში ოთხჯერ, სსდ–ის სამუშაო განრიგის შესაბამისად (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი).

ლარნაკას საღამოს სკოლაში საცდელად გაშვებულია ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამა მთელი სასწავლო წლისთვის, რომელიც ასევე საცდელადაა გაშვებული 16 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დილის ცვლაში

დონეებად დაყოფა

მოსწავლეების ორ დონედ – დაწყებით და წინ წასულ დონეებად დაყოფის მიზნით ტარდება საცდელი ტესტები ყოველი წლის სექტემბრის დასაწყისში ბერძნული ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად. სწავლის დამწყებთათვის კურსი გრძელდება ორი (2) სასწავლო წელი, იმ დროს როდესაც წინ წაწეული დონის მოსწავლეთათვის – ერთი (1) წელი. ინტენსიური სწავლის მეორე წელზე გადასვლის აუცილებლობა განისაზღვრება პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ტესტების შედეგების მეშვეობით.

ჯგუფის შემადგენლობა

ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის ჯგუფებში, შეძლებისდაგვარად, ერთიანდებიან მოსწავლეები ერთი კლასიდან ჯგუფის მთლიანობის

უზრუნველსაყოფად და მეცადინეობის განრიგის შედგენის პროცესის გასამარტივებლად. იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ აერთიანებენ 13 და 14 წლის მოსწავლეებს, ასევე 16 და 17 წლის მოსწავლეებს, რომელთათვისაც გათვალისწინებულია მეცადინეობების და საგნების თანაბარი რაოდენობა, რომელთაგანაც თავისუფლდებიან უცხოელი მოსწავლეები ბერძნული ენის შესწავლის მიზნით. 12 და 15 წლის მოსწავლეები აყალიბებენ ბერძნული ენის სწავლის ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ჯგუფებს.

სხვადასხვა კლასებიდან მოსწავლეების გაერთიანების აუცილებლობის შემთხვევაში, იმათთვის, ვისაც 12 და 15 წელი შეუსრულდა, პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა უთანაბრდება იმ საათების რაოდენობას, რომლებიც გათვალისწინებულია 13, 14 და 17 წლის მოსწავლეთა ჯგუფებისთვის, შესაბამისად. კერძოდ კი, 12 წლის მოსწავლეები ესწრებიან მეცადინეობებს ბერძნულ ენაში კვირაში 7,5 საათის განმავლობაში 13 და 14 წლის მოსწავლეებთან ერთად, ნაცვლად 8 საათისა. ამავე დროს, 15 წლის მოსწავლეები ესწრებიან მეცადინეობებს ბერძნულ ენაში 4 საათის განმავლობაში 15 და 17 წლის მოსწავლეებთან ერთად, კვირაში 8 საათის ნაცვლად.



არ არის გამორიცხული, რომ უცხოელი მოსწავლეები გარკვეული პერიოდის მანძილზე მეცადინეობებს არ ესწრებოდნენ. ასეთი მოსწავლეები კლასებში ნაწილდებიან მათი ცოდნის შესაბამისად, მიუხედავად იმ დროისა, რომელიც მათ გაუცდათ სკოლაში.

უცხოელი მოსწავლეების ცოდნის დონე და ასაკი

იმის გამო, რომ უცხოელ მოსწავლეებს – ისეთი აშკარა მიზეზების გამო, როგორიცაა მიგრაცია, ახალ სოციალურ გარემოში ადაპტაცია, განსხვავება დონეებსა და სასწავლო პროგრამებში, კლასების მიხედვით საგნების არათანაბარი განაწილება, სასწავლო წლის განმავლობაში მეცადინეობებზე არარეგულარული დასწრება – უწევთ სერიოზულ პრობლემებთან შეჯახება ახალ სასწავლო გარემოში მოხვედრისას, უფრო კეთილგონივრულად ითვლება მათი განაწილება მათივე პირადი თანხმობის საფუძველზე, თუნდაც ერთი დონით დაბლა, ვიდრე ამას მათი ცოდნა ვარაუდობს. ამ სახით ისინი უფრო სწრაფად შეძლებენ ცოდნის ვაკუუმის შევსებას და საშუალება მიეცემათ უკეთესად ისწავლონ ბერძნული ენა, და მომავალ წელს უფრო ჰარმონიულად ისწავლონ თავისი კლასის სხვა ბავშვებთან ერთად.

იმ შემთხვევებში, როდესაც ენის ცოდნაში დიდი ხარვეზები შეინიშნება ან როდესაც უცხოელი მოსწავლეების ასაკი ძალიან დიდია (20 წელზე უფროსი), მათ სთავაზობენ საღამოს სკოლაში სწავლას მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობებით, სადაც საშუალება ეძლევათ გაიარონ ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის კურსი საღამოს საათებში, სპეციალურ საგანმანათლებლო ცენტრებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ შემთხვევებს, როცა ახალჩამოსულმა უცხოელმა მოსწავლემ უნდა ისწავლოს საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასში, და ამასთან ერთად, ირჩევს ისეთ საგნებს, რომლებიც დისციპლინების არჩევის არსებული სისტემის მიხედვით, ნასწავლი უნდა ჰქონოდა წინა წელსაც. შერჩევის სისტემის არსებული ჩარჩოების გამო, ამ კატეგორიის მოსწავლეები ნაწილდებიან გამოსაშვები კლასის წინა კლასში და მათ სთავაზობენ გადავიდნენ სწავლის საღამოს ფორმაზე.

საშუალო სკოლის კლასებთან უცხოელი მოსწავლეების ასაკის მისადაგებისას, ახალჩამოსული მოსწავლეების ცოდნის დონის შესაბამისად, სკოლის მე–9 კლასში დაიშვებიან მოსწავლეები 16–დან 18 წლამდე, მე–10 კლასში – 17–დან 19 წლამდე, ხოლო 11–ე კლასში – მოსწავლეები 21 წლამდე, და, ცალკეულ შემთხვევებში, სპეციალური ზემდგომი ინსტანციის ნებართვის მიღების შემდეგ.

ბერძნული ენის ინტენსიური სწავლის პროგრამა სწავლის დღის ფორმით შემოღებულია შემდეგ სკოლებში:

ნიქოზია		
სკოლები	**მოსწავლეთა რაოდენობა (რომლებსაც ბერძნული ენის შესწავლა სჭირდებათ)**	**ჯგუფები**
კვიპროსის საშუალო სკოლა	30	4
კიკუს საშუალო სკოლა	23	3
პალურიოტისეს საშუალო სკოლა	16	2
კოკინოტრიმიტიეს საშუალო სკოლა	13	2
სულ		**11**
ლიმასოლი		
სკოლები	**მოსწავლეთა რაოდენობა (რომლებსაც ბერძნული ენის შესწავლა სჭირდებათ)**	**ჯგუფები**
ლანიტიოს სკოლა (მე–9 კლასი)	10	2
ტეკლიოს საშუალო სკოლა	20	3
ლინოპეტრას საშუალო სკოლა	17	2
სულ		**7**

ლარნაკა		
სკოლები	მოსწავლეთა რაოდენობა (რომლებსაც ბერძნული ენის შესწავლა სჭირდებათ)	ჯგუფები
არქიეპისკოპოს მაკარიას სახელობის საშუალო სკოლა	14	2
დიანელიოს საშუალო სკოლა	34	4
ლივადიონის საშუალო სკოლა	9	2
სულ		8
ამოხოსტოსი (ფამაგუსტა)		
სკოლები	მოსწავლეთა რაოდენობა (რომლებსაც ბერძნული ენის შესწავლა სჭირდებათ)	ჯგუფები
პარალიმნის სკოლა	32	4
სულ		4
პათოსი		
სკოლები	მოსწავლეთა რაოდენობა (რომლებსაც ბერძნული ენის შესწავლა სჭირდებათ)	ჯგუფები
არქიეპისკოპოს მაკარიას სახელობის საშუალო სკოლა	40	5
წმ. თეოდორის საშუალო სკოლა, ქ. პათოსი	52	6
ემპასის საშუალო სკოლა	35	4
ნიკოლაიდიოს საშუალო სკოლა	40	5
ქ. პათოსის ტექნიკური სკოლა	25	3
სულ		23

კვიპროსის განათლების სისტემა

კვიპროსის განათლების სისტემა



სკოლამდელი და დაწყებითი განათლება

დაწყებითი განათლება სასკოლო განათლების პირველი საფეხურია, რომლის მთავარი მიზანიც მდგომარეობს ყველა ბავშვის – მათი ასაკის, სქესის, წარმოშობის, ოჯახური მდგომარეობის, სოციალური სტატუსისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების მიუხედავად – ორგანიზებასა და ყველა შესაძლებლობით უზრუნველყოფაში მათი დაბალანსებული ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური განვითარებისთვის.



საბავშვო ბაღები

კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტრო პასუხისმგებელია სამი წლიდან დაწყებული და უფრო დიდი ასაკის ბავშვების მიერ განათლების მიღებაზე, რომლებიც სახელმწიფო და კერძო საბავშვო ბაღებში დადიან. სკოლამდელი განათლება გულისხმობს ოჯახის როლის შესრულებას, ბავშვის ზრდისა და განვითარების ხელშეწყობას ყველა შესაძლო საშუალებით, მისი ძირითადი მოთხოვნილებების და პიროვნული გამოვლინებების დაკმაყოფილებას, ბავშვის მიერ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გააზრებას და მის მიერ საკუთარი თვითშეფასების გაუმჯობესებას.

საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად ცხოვრების ისეთი წესის შექმნას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვეულებრივი ოჯახის ცხოვრების წესს, ბავშვის თავისუფალ და შემოქმედებით განვითარებაზე ყურადღების გამახვილებით, მისდამი ინდივიდუალური მიდგომის საშუალებით, რათა ბავშვმა შეძლოს ისეთ გარემოში განვითარება, სადაც მიმდინარეობს კოლექტიური სწავლა, ხდება ახალი გამოცდილების შეძენა და ჯგუფური მუშაობა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეულ ბავშვს, მისი თავისებურებების, პიროვნული თვისებების და მოთხოვნილებების მიხედვით, რათა იგი გრძნობდეს მუდმივ სიყვარულს, მხარდაჭერას, ზრუნვას, საზოგადოების მიერ მის მიღებას, მისი პიროვნების, თავისებურებებისა და თვითმყოფადობის დაცვასა და პატივისცემას.

საბავშვო ბაღების სახეობები

კვიპროსზე არსებობს სახელმწიფო, საზოგადოებრივი (მშობელთა გაერთიანებების მიერ დაფუძნებული და დაფინანსებული) და კერძო საბავშვო ბაღები. 2004 წლის სექტემბერში **დაწყებით სკოლაში ბავშვის შესვლამდე 1 წლით ადრე სავალდებულო უფასო სკოლამდელი განათლების** შემოღების შემდეგ **სახელმწიფო** საბავშვო ბაღების მთელ ხარჯებს განათლებისა და კულტურის სამინისტრო კისრულობს.

საზოგადოებრივი საბავშვო ბაღები უმრავლეს შემთხვევებში სახელმწიფო საბავშვო ბაღებთან თანამშრომლობენ, იმყოფებიან ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ, გააჩნიათ მშობელთა საერთო კომიტეტი და ემსახურებიან, ძირითადად, ბავშვებს 3 წლიდან 4 წლისა და 8 თვის ასაკამდე. მშობლები, რომელთა შვილებიც ასეთ ბაღებში დადიან, იხდიან ყოველთვიურ შენატანებს. საზოგადოებრივ საბავშვო ბაღებს შორის არიან როგორც სადილამდე მომუშავე ბაღები, ასევე ისეთებიც, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ, აგრეთვე ბაღები ნახევრად გახანგრძლივებული დღით, ანუ 14.45 საათამდე.

ბავშვის ასაკობრივი ცენზი საბავშვო ბაღში

სახელმწიფო საბავშვო ბაღებში სკოლამდელი აღზრდის უფლება აქვს ყველა ბავშვს, მათი წარმოშობის ქვეყნის და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, რომლებიც ცხოვრობენ კვიპროსზე როგორც მუდმივ, ისე დროებით საფუძველზე. სახელმწიფო საბავშვო ბაღში ბავშვს მიიღებენ, თუ იმ წლის 1 სექტემბრისთვის, რომელ წელსაც შეტანილია განაცხადი, მას უკვე შეუსრულდება **4 წელი და 8 თვე.**

თუ სახელმწიფო საბავშვო ბაღებში არის თავისუფალი ადგილები, ეს ადგილები პირველ რიგში ნაწილდება იმ ბავშვებს შორის, რომელთაც ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის შეუსრულდათ 3 წელი (ბავშვებს, რომლებიც 1 სექტემბერს არიან დაბადებულნი, ასევე აქვთ განაცხადის შეტანის უფლება).

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საბავშვო ბაღში ჩაწერის ან განაცხადის შეტანის ვადები

განათლებისა და კულტურის სამინისტროს დადგენილების თანახმად, სახელმწიფო საბავშვო ბაღში 4 წლისა და 8 თვის ასაკიდან 5 წლისა და 8 თვემდე ასაკის ბავშვების ჩაწერა, და 3 წლიდან 4 წლისა და 8 თვემდე ასაკის ბავშვებისგან განაცხადის მიღება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საბავშვო ბაღში ბავშვის მიყვანის თაობაზე, ძირითადად, ხდება **იანვრის მეორე კვირაში.**

კვიპროსზე დაბადებულმა ყოველმა ბავშვმა, რომელსაც განაცხადი პირველად შეაქვს, უნდა წარმოადგინოს კანონის შესაბამისად გაცემული დაბადების მოწმობა. კვიპროსის ფარგლებს გარეთ დაბადებულ ყოველ ბავშვზე ასევე აუცილებელია **დაბადების მოწმობის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის** წარდგენა, **რომელიც განათლებისა და კულტურის სამინისტროს მოთხოვნებს პასუხობს** (მაგალითად, პასპორტი), და რომელიც დამოწმებულია ზემდგომი ინსტანციის მიერ და ადასტურებს ბავშვის დაბადების თარიღს. ზემოაღნიშნული დოკუმენტების ფოტოასლები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ასლები დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ (რეკომენდებულია აღნიშნული დოკუმენტების გადათარგმნა, საჭიროების შემთხვევაში, ბერძნულ ან ინგლისურ ენებზე). დაბადების მოწმობებს ამოწმებს სპეციალური ინსპექტორი და ისინი ინახება საბავშვო ბაღის გამგესთან. დოკუმენტები მფლობელს უბრუნდება აღნიშნული საბავშვო ბაღიდან ბავშვის ამოწერის შემდეგ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბავშვო ბაღებში ბავშვების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა

ში თავისუფალი ადგილების არსებობისას, შესარჩევი კომიტეტი, განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, ახდენს ბავშვების შერჩევას 3 წლიდან 4 წლისა და 8 თვის ასაკამდე. ანალოგიური პროცედურა ტარდება ბავშვების შერჩევისას საზოგადოებრივ საბავშვო ბაღებშიც, სადაც არსებობს ადგილების შეზღუდული რაოდენობა. ბავშვების შერჩევის კრიტერიუმები, განათლებისა და კულტურის სამინისტროს დადგენილების მიხედვით (მუხლი 59.824 – 14.04.2004 წ.), მდგომარეობს შემდეგში:

• ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ საბავშვო ბაღში გასულ წელს.

• ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სოციალური დაცვის სამსახურის მეურვეობის ქვეშ ან ობოლი ბავშვები.

• ბავშვები, რომელთა ძმამ ან დამ მიაღწიეს ასაკს 4 წ. 8 თვე – 5 წ. 8 თვე და დადიან საბავშვო ბაღში.

• პოლიტიკური ლტოლვილების ბავშვები.

• მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები.

• სხვა შემთხვევები (ბოშების, უცხოელი მოქალაქეების შვილები და ა.შ.)

• ქრონოლოგიური რიგი.

სწავლის გადასახადი

2004 წლის 1 სექტემბრიდან **სკოლამდელი განათლება დაწყებით სკოლაში ბავშვის შესვლამდე 1 წლით ადრე არის აუცილებელი და უფასო. 3 წლიდან 4 წლისა და 8 თვემდე ასაკის ბავშვების სახელმწიფო საბავშვო ბაღებში სიარული** ღირებულებას ადგენს განათლებისა და კულტურის მინისტრი კვიპროსის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთქმედების საფუძველზე. **საზოგადოებრივ საბავშვო ბაღებში** ბავშვების მიყვანისთვის **მშობლები** ასევე **იხდიან შენატანებს**, რომელთა ოდენობასაც განსაზღვრავს მშობელთა საბჭო, სასკოლო ჯგუფის ეკონომიკური ვალდებულებებისა და თავისებურებების მიხედვით. შენატანის განსაზღვრის მიზანი არავითარ შემთხვევაში არ არის მოგების მიღება. **თურქი–კვიპროსელი** ბავშვებს, რომლებიც კვიპროსის თავისუფალ რაიონებში კერძო სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლობენ, გადასახადებს (ყოველთვიური შენატანები და ხარჯები განაცხადის შეტანაზე), სრულად **უნაზღაურებს** სახელმწიფო.

განრიგი და სადღესასწაულო დღეები საბავშვო ბაღებში

სახელმწიფო საბავშვო ბაღები მუშაობენ 7:45–დან 13:05 საათამდე. საზოგადოებრივი საბავშვო ბაღები, სიტუაციიდან გამომდინარე, ახანგრძლივებენ სამუშაო საათებს 14:45 სთ–მდე მომუშავე მშობლების კომფორტისთვის. სადღესასწაულო (არასამუშაო) დღეები სახელმწიფო საბავშვო ბაღებში ემთხვევა სადღესასწაულო (არასამუშაო) დღეებს სახელმწიფო სკოლებში. სასკოლო სადღესასწაულო დღეები არ არის სავალდებულო საზოგადოებრივი და კერძო საბავშვო ბაღებისთვის. თუმცა, სახელმწიფო სადღესასწაულო დღეები ასევე სავალდებულოა მათთვისაც.

დაწყებითი სკოლები

დაწყებით სკოლაში სწავლა **სავალდებულოა ყველა ბავშვისთვის**, რომლებმაც მიაღწიეს **5 წლისა და 8 თვის ასაკს იმ სასწავლო წლის 1 სექტემბრისთვის, როდესაც ისინი იწყებენ სწავლას.**

დაწყებითი განათლების ძირითადი პრინციპი იყო და არის მოსწავლის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, მასში ცოდნის ათვისების სრულფასოვანი უნარების გამომუშავებასთან, სწორი შეხედულებების და სხვადასხვა შესაძლებლობების ჩამოყალიბებასთან ერთად, და ამასთან, მოსწავლის მომზადება საკუთარი ვალდებულებების მომავალი ანალიზისა და მის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე ადეკვატური რეაქციისთვის.

დაწყებითი განათლების ძირითადი მიზანია ასაკის, სქესის, წარმოშობის ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, სოციალური სტატუსის და ინტელექტუალური შესაძლებლობების მიუხედავად, ყველა ბავშვისთვის შემდეგი შესაძლებლობები ორგანიზაცია და უზრუნველყოფა:

• ჰარმონიული ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური განვითარება და ყველაზე უმაღლეს დონეზე იმ საშუალებების გამოყენების უნარების გამომუშავება, რომლებსაც თანამედროვე ტექნოლოგიები გვთავაზობენ.

• სასკოლო და სკოლის გარე სამყაროსთან ადაპტაციის სირთულეებთან, ასევე სხვადასხვა პრობლემებთან წარმატებით გამკლავების უნარის გამომუშავება, რომლებთანაც შესაძლოა მოუწიოს შეხება.

• სწავლის პროცესის მიმართ დადებითი შეხედულების გამომუშავება, ურთიერთობების უნარების, შეჯიბრებითობის შემართების, ადამიანური ღირებულებების ერთგულების, კულტურული მემკვიდრეობის და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემის, სილამაზის დაფასების უნარის, გამომგონებლობის გამოვლინების და სიცოცხლისა და ბუნების სიყვარულის განვითარება, უნარისა, რომ არ იყოს გულგრილი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პრობლემების მიმართ.

• ივარაუდება, რომ ბერძენმა–კვიპროსელმა მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ურთიერთობა და განავითარონ საკუთარი ეთნიკური და კულტურული კუთვნილების კონსოლიდაციის უნარი, გააცნობიერონ როგორც თვით კვიპროსის რესპუბლიკისადმი კუთვნილების ცნება, ასევე კვიპროსელი ბერძნების ენობრივი და ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება, რომლებიც მხარს უჭერენ ეთნიკურ თანასწორობას კანონით დადგენილი პროცედურების ფარგლებში. თუმცა, ამასთან ერთად, მათ უნდა გამოიმუშავონ მრავალპოლარული ხედვა მსოფლიოზე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ პატივისცემის საფუძველზე.

დაწყებითი სკოლების სახეობები

კვიპროსზე არსებობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწყებითი სკოლები. იმ მასწავლებელთა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც თითოეული სახელმწიფო სკოლის კოლექტივს შეადგენენ, სკოლები იყოფა ერთადგილიან, ორადგილიან, სამადგილიან და მრავალადგილიან სკოლებად. თუ ერთ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 15–ზე ნაკლებია, ხდება ცვლილებების შეტანა, და ორი ან მეტი სახელმწიფო სკოლა ერთიანდება

უფრო მსხვილი რეგიონალური სახელმწიფო სკოლის ჩამოყალიბების მიზნით. სკოლების გაერთიანების შემთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს რეგიონალურ სკოლებში იმ მოსწავლეთა გადაყვანის ხარჯებს, რომლებიც სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

გახანგრძლივებული დღის სკოლა

გახანგრძლივებული დღის სკოლები შექმნილია რიგ სასწავლო დაწესებულებებში ფაკულტატიურ საფუძველზე და მუშაობენ ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით, სადაც ტარდება 4 დამატებითი საღამოს მეცადინეობა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მე–4, მე–5 და მე–6 წელია სწავლობენ – 4–ჯერ კვირაში 16:00 საათამდე.

დღის სასწავლო პროგრამა და სასკოლო განრიგი იგივე რჩება და მოქმედებს დაწყებითი სკოლის მუშაობის არსებული წესების შესაბამისად. ყოველკვირეული საღამოს სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს 4 მეცადინეობის ჩატარებას საშინაო დავალების შესრულების მიზნით, 4 მეცადინეობას – ძნელად ათვისებად მასალაზე მუშაობის მიზნით და 8 მეცადინეობას ფაკულტატიურ საგნებში მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით (ინგლისური ენა, ინფორმატიკა, მუსიკა, ფიზკულტურა, ხელოვნებათმცოდნეობა, დიზაინი და ტექნოლოგია). ბავშვების რაოდენობა ყოველ კლასში მერყეობს 8–დან 32–მდე, არჩეული მიმართულების და აღნიშნული სკოლის თავისებურებების მიხედვით.

ბავშვების სადილით უზრუნველყოფის ხარჯებს და ამისთვის აუცილებელ ყველა ქმედებას კისრულობენ მშობლები. სასკოლო მენიუ შეესაბამება განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ და მშობლებთან შეთანხმებულ გარკვეულ სტანდარტებს. სამინისტრო ახდენს შეჭირვებული ოჯახის შვილების სადილის სუბსიდირებას.

განაცხადის შეტანა დაწყებით სკოლებში

დაწყებით სკოლაში ჩაწერა იწყება **იანვარში**, იმ პერიოდში, რომელიც ყოველწლიურად განისაზღვრება განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ. **მიღებული განაცხადების დადასტურება ხდება იმ პერიოდში, რომელიც ყოველწლიურად განისაზღვრება დაწყებითი განათლების გამგის მიერ (ჩვეულებრივ, ივნისის განმავლობაში)**. ამ წესში, დაწყებითი განათლების მთავარი ინსპექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაშვებული იქნას გამონაკლისები, დაწყებით სკოლაში შესაძლოა ისეთი ბავშვების მიღება, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შეძლეს დროულად განაცხადის შეტანა.

განათლებისა და კულტურის სამინისტროს ძირითადი დადგენილების თანახმად, დაწყებით სკოლაში მიიღებიან ის ბავშვები, რომელთაც იმ წლის 1 ოქტომბრისთვის, რომელ წელსაც გეგმავენ სწავლის დაწყებას, შეუსრულდება **5 წელი და 8 თვე**.

კვიპროსზე დაბადებულმა ყოველმა ბავშვმა, რომელსაც პირველად შეაქვს განაცხადი, უნდა წარმოადგინოს კანონის მიხედვით გაცემული დაბადების მოწმობა. კვიპროსის ფარგლებს გარეთ დაბადებულმა ყოველმა ბავშვმა ასევე უნდა წარადგინოს **დაბადების მოწმობა ან რაიმე სხვა დოკუმენტი** (მაგალითად, პასპორტი), რომელიც დამოწმებულია ზემდგომი ინსტანციის მიერ და რომელიც **ადასტურებს ბავშვის დაბადების თარიღს**, და რომელიც შეესაბამება განათლებისა და კულტურის სამინისტროს მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტების ფოტოასლები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. დაბადების მოწმობებს ამოწმებს სპეციალური ინსპექტორი და ისინი ინახება სკოლის დირექტორთან. დოკუმენტები მფლობელებს უბრუნდება სკოლის დამთავრების შემდეგ ან სხვა სკოლაში გადაყვანის შემთხვევაში, ასევე საზღვარგარეთ გადასახლების შემთხვევაში, თუ იმ მომენტისთვის დოკუმენტები უკვე შემოწმებულია.

მოსწავლეთა გადაყვანა სხვა სკოლაში

ბავშვის გადაყვანა **ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში** მისი მშობლების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში ხდება **სპეციალური ფორმის** შევსებით, რომელიც გაიცემა წინა სასკოლო დაწესებულების დირექტორატის მიერ. ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია დაწყებითი განათლების გამგის წერილობითი ნებართვის მიღება წინასწარ.

დაწყებით სკოლაში გადასვლისას სხვა ტიპის რომელიმე არასახელმწიფო სკოლიდან, ან ისეთი სკოლიდან, რომელიც განთავსებულია კვიპროსის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, აუცილებელია დაბადების მოწმობის და განათლების მოწმობის წარდგენა. ამასთან, ბავშვის განაწილება კლასში ხდება მისი ასაკის მიხედვით. თუ მისი ცოდნის დონე ისეთ საგნებში, როგორიცაა ბერძნული ენა და მათემატიკა, იმ კლასის ბავშვების ცოდნის დონეზე დაბალია, სადაც მან უნდა ისწავლოს, მაშინ ბავშვი განაწილდება უფრო დაბალ კლასში, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ასაკი საშუალებას აძლევს მას დაამთავროს დაწყებითი სკოლა არსებული კანონის შესაბამისად.

მოსწავლეთა გადასვლა მომდევნო კლასში

ყოველწლიურად ბავშვი ერთი კლასიდან გადადის მომდევნო კლასში, ასაკის შესაბამისად, ან სასწავლო წლის განმავლობაში, თუკი არსებობს განსაკუთრებული მიზეზები და მხოლოდ პასუხისმგებელი ინსპექტორის თანხმობით, თუმცა არავითარ შემთხვევაში ბავშვის გადაყვანა არ შეიძლება თავის ასაკზე უფროს კლასში.

წლის განმეორება განსაკუთრებულ შემთხვევებში

ბავშვი შესაძლოა იძულებული იყოს დარჩეს იმავე კლასში მეორე წლით, თუ საამისოდ განსაკუთრებული მიზეზები არსებობს. ეს მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს დაწყებით სკოლაში ბავშვის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში პასუხისმგებელი ინსპექტორის ნებართვის მიღების და ბავშვის მშობლის ან მეურვისთვის შეტყობინების შემდეგ.

სწავლის ვადის შეჩერება და გახანგრძლივება

რაიმე მიზეზით სწავლის შეჩერების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორი აცნობებს მოსწავლის მშობლებს დაწყებითი განათლების გამგის სახელზე სპეციალური შევსებული ფორმის გაგზავნის აუცილებლობის თაობაზე, **არა უგვიანეს ყოველი სასწავლო წლის 30 მაისისა**, სწავლის შეჩერების ვადების და მიზეზების დასაბუთების მითითებით. მოცემული მოსწავლის შეფასების წესს ადგენს სკოლა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ყველა განაცხადი განიხილება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ზემოთ აღწერილის ანალოგიური პროცედურა ხორციელდება სწავლის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაშიც. აუცილებელი ფორმის მიღება მშობლებს შეუძლიათ თავისი დაწყებითი სკოლის დირექტორისგან.

მოსწავლეთა მიერ მეცადინეობების გაცდენა

ბავშვის მიერ სასკოლო მეცადინეობების ყოველი გაცდენა დასაბუთებული უნდა იყოს მშობლის ან მეურვის მიერ წერილობითი ფორმით და უნდა დააკმაყოფილოს სკოლის დირექტორი. 5 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ჯანმრთელობის გამო მეცადინეობების გაცდენის შემთხვევაში აუცილებელია მკურნალი ექიმის ცნობის წარდგენა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამას არ მოითხოვს სკოლის დირექტორი.

მეცადინეობების განრიგი და საგნების შერჩევა

სკოლები მუშაობენ 7:45 სთ–დან 13:05 სთ–მდე. დაწყებითი სკოლის მუშაობის ყოველდღიური განრიგი შედგება შვიდი (7) სასწავლო მეცადინეობისგან თითოეული 40 წუთის განმავლობაში და სამი (3) შესვენებისგან, 40 წუთის საერთო ხანგრძლივობით. მეცადინეობების განრიგი საერთოა ყველა დაწყებითი სკოლის ყველა კლასისთვის.

სკოლების სასწავლო პროგრამაში შედის შემდეგი საგნები: ბერძნული ენა, მათემატიკა, რელიგიათმცოდნეობა, ისტორია, გეოგრაფია, ძირითადი მეცნიერებები, ინგლისური ენა, ხელოვნებათმცოდნეობა, მუსიკა, ფიზიკური კულტურა, საშინაო ეკონომიკა, დიზაინი და ტექნოლოგია.

ბავშვებს, რომელთათვისაც ბერძნული ენა არ არის მშობლიური, და რომელთაც სირთულეები ექმნებათ მასალის ათვისებისას, **გაეწევათ დამატებითი დახმარება ბერძნული ენის შესწავლაში.**

სკოლა ასევე უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ დახმარებას იმ ბავშვებისთვის, ვისაც ეს სჭირდებათ.

საშინაო დავალება/სასკოლო ჩანთა

ბავშვებს ეძლევათ გარკვეული მოცულობის საშინაო დავალება, რომელიც თითოეულ მოსწავლეს ეხმარება მრავალრიცხოვანი შესაძლებლობების განვითარებასა და გამომგონებლობის გამოვლინებაში.

სასკოლო ჩანთით, გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მხოლოდ იმ წიგნების ტარება, რომლებიც ბავშვს სჭირდება იმ დღის სასწავლო პროგრამის მიხედვით. წიგნები, რომლებიც ბავშვს მოცემულ დღეს არ დასჭირდება, უნდა დატოვოს სკოლაში ან სახლში. რეკომენდებულია, რომ მშობლებმა რეგულარულად შეამოწმონ თავიანთი შვილების ჩანთები, რათა დარწმუნდნენ, რომ ჩანთაში მხოლოდ აუცილებელი სასწავლო მასალებია ჩადებული.

სასკოლო დღესასწაულები

• ღია კარის დღე (დღესასწაული სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, აღინიშნება მეცადინეობების დაწყების პირველ კვირაში).

• დამოუკიდებლობის დღე.

• „ოხის“ („არა“) დღე და კვიპროსის ეროვნული დროშის დღე.

• ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის დღე (7 დეკემბერი).

• ეროვნული ლიდერის არქიეპისკოპოს მაკარიას სახელობის დღეობა (19 იანვარი).

• ხის დღესასწაული (იანვარი).

• განათლების დღე.

• საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე (25 მარტი).

• ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების დღე (1 აპრილი).

• ევროპის დღე (9 მაისი).

• დახურული კარის დღე (სასწავლო წლის დასრულების დღესასწაული, აღინიშნება ბოლო 10 სასწავლო დღიდან ერთერთ დღეს).

სკოლამ შესაძლოა ორგანიზება გაუკეთოს ბავშვების გაყვანას რომელიმე გამოფენაზე ან დასწრებას თეატრში სწავლის პერიოდში სამი თვის განმავლობაში ერთხელ. ყველა სხვა ღონისძიება (როგორიცაა სასწავლო ან ფსიქოლოგიური ტრენინგები/ექსკურსიები) შესაძლოა ორგანიზებული იქნას არასასკოლო დროს სასწავლო პროგრამის დაზარალების გარეშე. ასეთი ღონისძიებებისთვის ხარჯებს თვითონ მოსწავლეები იხდიან.

საგანმანათლებლო პროგრამები

ყოველწლიურად დაწყებით სკოლებში მუშავდება რიგი საგანმანათლებლო პროგრამებისა დაწყებითი განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით. მაგალითის სახით დავასახელებთ შემდეგ პროგრამებს:

• მუზეუმების დათვალიერების პროგრამა.

• ფიზიკური აღზრდის პროგრამა „მენთორი“.

• ჯანმრთელობის გაკაჟების სკოლების ევროპული ქსელის პროგრამა.

• სასწავლო პროგრამა „იკადე“.

• სასწავლო პროგრამა ქუჩაში ქცევის თაობაზე – „უსაფრთხო ტარება“.

• სასწავლო პროგრამა „კვიპროსი–ეგეოსი, მითი – ისტორია –

ხელოვნება“.

- სასწავლო პროგრამა სახელმწიფო ფერწერულ გალერეაში.
- გარემოს შესწავლისა და დაცვის პროგრამები.
- ინფორმატიკა დაწყებით სკოლაში.

სასკოლო ფორმა

დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს სკოლაში სიარულისას აცვიათ ფორმა. სკოლის პედაგოგიური პერსონალი მშობელთა საბჭოსთან თანამშრომლობით იღებს გადაწყვეტილებას ყოველ სკოლაში ფორმის გარკვეული სტილის თაობაზე.

სკოლის სასადილო

ყოველ სკოლაში მუშაობს სკოლის სასადილო, სადაც ბავშვებს კერძებისა და სასმელების ფართო არჩევანს სთავაზობენ, რომელთა შეძენაც მათ შეუძლიათ დასვენების განმავლობაში. სასადილოები მუშაობენ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ჰიგიენური ნორმების დაცვას მეთვალყურეობს. ნებადართული კერძებისა და სასმელების მენიუს, რომელსაც მოსწავლეებს სთავაზობენ, ამტკიცებს სამინისტრო.

მოსწავლეთა უსაფრთხოება

ყოველი სკოლის დირექტორი და პედაგოგიური პერსონალი პასუხს აგებს ბავშვების უსაფრთხოებაზე მათი სკოლაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. მშობელთა საბჭო აზღვევს პასუხისმგებლობას ბავშვების უსაფრთხოებაზე ერთერთ სადაზღვევო კომპანიაში, რომელიც შეირჩევა მკაცრი კრიტერიუმების მიხედვით. ყოველ ბავშვზე სადაზღვევო შენატანების გადახდისთვის სკოლაში შესვლის მომენტიდან მშობელთა საბჭოს გადაეცემა შესაბამისი ფულადი გადასახადი.

სპეციალური აღზრდა და განათლება

1999 წელს დამტკიცებული იქნა კანონი (კანონი I 13(1) 1999 წ.) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, ცნება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი“ ითვალისწინებს ბავშვებს, რომელთაც სერიოზული სირთულეები აქვთ სწავლასა და ადაპტაციაში სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური გადახრების გამო, რაც ბავშვის სწავლის და აღზრდის პერიოდში მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. სპეციალურ აღზრდასა და განათლებაში იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენა ყველა მიმართულებით საერთო განვითარებისთვის, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური, სოციალური და საგანმანათლებლო მიმართულებებით, სწავლის ყველა დონეზე (სკოლამდელი განათლება, დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი, ასპირანტურა), ასევე პრეპროფესიულ და პროფესიულ სასწავლო საქმიანობაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და ეს ითვალისწინებს სხვა ყველაფერთან ერთად ბავშვისთვის ისეთი ცნებების სწავლას, როგორიცაა პირადი პასუხისმგებლობა, პირადი ჰიგიენა, ენობრივი განვითარება, ურთიერთობა, გრძნობები და ყველა საშუალების, უნარებისა და ადამიანური ძალების გამოყენება მისი წარმატებული ინტეგრაციისთვის სასკოლო და სოციალურ გარემოში, და მის მიერ დამოუკიდებელი

ცხოვრების წარმართვის უნარების ათვისება.

კანონებისა და წესების ძირითადი დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო მხარს უჭერს ისეთი ბავშვების დროულ გამოვლინებას, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, დაწყებული სამი წლის ასაკიდან, მხარს უჭერს სპეციალისტების მიერ სრულფასოვანი ანალიზის ჩატარებას ასეთი ბავშვების მოთხოვნილებების გამოვლენის, ამ ბავშვებისთვის ყველა აუცილებელი საშუალებების, მომსახურების, მოწყობილობებისა და სპეციალიზირებული დახმარების აღმოჩენის მიზნით პედაგოგიური და სხვა პერსონალის მიერ, **ჩვეულებრივ სკოლებში** მათი სრულფასოვანი სწავლისთვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებმა შესაძლოა ისწავლონ **სპეციალიზირებულ სკოლებში**. კვიპროსზე გახსნილია მხოლოდ ცხრა (9) სპეციალიზირებული სკოლა, რადგანაც განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ამ ბავშვებმა განათლება ჩვეულებრივ სკოლებში მიიღონ.

შემდგომი განათლების ცენტრები



შემდგომი განათლების ცენტრების მთავარი ამოცანები შეესაბამება სახელმწიფოს განვითარებად პოლიტიკას და განათლებისა და კულტურის სამინისტროს ძირითად მიზნებს, რომელიც მდგომარეობს ყველა მოქალაქისთვის განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნაში. ძირითადი მიზანი მდგომარეობს ყოველი მოქალაქის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფაში, ასევე მოქალაქეებისა და მთლიანად საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ზრდაში.

შემდგომი განათლების ცენტრებმა პირველად მუშაობა დაიწყეს 1960 წელს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ძირითადად პერიფერიებში. 1974 წელს ასეთი ცენტრები გაჩნდა ასევე ქალაქებშიც, და დღესდღეობით მათი ნახვა შეიძლება კვიპროსის მთელ თავისუფალ (არა ოკუპირებულ) ტერიტორიაზე. შემდგომი განათლების ცენტრები ათასობით ადამიანს **15 წლიდან და უფროსი ასაკისა** საშუალებას აძლევს, რომ მიიღონ განათლება.

შემდგომი განათლების ცენტრები, პატივს სცემენ რა ყველა მოქალაქის უფლებას მიიღონ უფასო განათლება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ჩათვლით, ყოველწლიურად ორგანიზებას უწევენ სპეციალურ ჯგუფებს, რომლებშიც სწავლობენ განათლების არქმონე ადამიანები, ინვალიდები, მსჯავრდებულები, სმენადაქვეითებული ადამიანები, სულიერად დაავადებულნი, ანკლავების მცხოვრებთა

შვილები, პენსიონერები და ა.შ. გარდა ამისა, **ბერძნული ენის შესწავლის** შესაძლებლობა ეძლევათ პონტოელ ბერძნებს, რეპატრიირებული კვიპროსელების შვილებს, ასევე თურქ–კვიპროსელებს, ხოლო თურქული ენის – ბერძენ–კვიპროსელებს.

საფასური

ქალაქები: 51 ევრო.

პროვინცია: 41 ევრო.

დასახლებული პუნქტები 500–ზე ნაკლები მცხოვრებით: 20 ევრო.

კომპიუტერები (ქალაქი/პროვინცია/დასახლებული პუნქტები 500–ზე ნაკლები მცხოვრებით): 59 ევრო.

ბერძნული ენა თურქი–კვიპროსელებისთვის: უფასოდ.

თურქული ენა ბერძენი–კვიპროსელებისთვის: უფასოდ.

65 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეები: უფასოდ.

მეცადინეობების დაწყება და დასრულება

მეცადინეობები შემდგომი განათლების ცენტრებში იწყება ოქტომბრის ბოლოს – ნოემბრის დასაწყისში, და სრულდება ყოველი სასწავლო წლის მაისის ბოლოს, ოცდაოთხი (24) სასწავლო მეცადინეობის ჩატარების პირობებში, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა ოთხმოცდაათ (90) წუთს შეადგენს.

საგანმანათლებლო საზაფხულო ლაშქრობები

საგანმანათლებლო საზაფხულო ლაშქრობების პროგრამის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, როგორც კვიპროსელებს, ასევე სხვა ქვეყნებიდან, საშუალება მისცენ გაეცნონ გარემოს და შეიყვარონ ის, განივითარონ ურთიერთობების უნარები, ჩამოიყალიბონ მეგობრული ურთიერთობები სხვა ბავშვებთან, გაეცნონ ბერძნულ ენას და კვიპროსის ისტორიას, თვით კუნძულს და მის კულტურას.

საგანმანათლებლო ლაშქრობები იმართება ყოველი წლის ოქტომბერში, ასევე მაისში და ივნისში, და მასში მონაწილეობენ დაწყებითი სკოლების მოსწავლეები, ასევე ლონდონის კვიპროსული დიასპორის ბავშვები. საგანმანათლებლო ლაშქრობებში მონაწილეობა შეუძლიათ **მე–4, მე–5 და მე–6 კლასის მოსწავლეებს თავიანთ მასწავლებლებთან ერთად.**

გარდა ამისა, მოსწავლეთა გაცვლის ფარგლებში საბერძნეთის ეროვნული განათლების სამინისტრო ორგანიზებას უწევს კვიპროსის დაწყებითი სკოლების მოსწავლეების გამგზავრებას საბერძნეთში.

საერთო ძირითადი ცნობები საბავშვო ბაღების, დაწყებითი და სპეციალიზებული სკოლების მუშაობის შესახებ

სასწავლო წლის დაწყება და დასრულება

სასწავლო წელი იწყება სექტემბრის პირველ ორშაბათს. უშუალოდ მეცადინეობები იწყება უახლოეს ხუთშაბათს. მეცადინეობები სრულდება ივნისის ბოლოს წინა პარასკევის წინა ოთხშაბათს. მეცადინეობები ტარდება კვირაში 5 დღეს (ორშაბათიდან პარასკევამდე).

სასკოლო დღესასწაულები

სასკოლო დღესასწაულებს მიეკუთვნება:

• ბერძნული დაწყებითი სკოლებისა და სახელმწიფო საბავშვო ბაღებისთვის:

1 ოქტომბერი

28 ოქტომბერი

23 დეკემბერი – 6 იანვარი

30 იანვარი

25 მარტი

1 აპრილი

1 მაისი

დიდი ორშაბათი–პარასკევი (აღდგომის კვირა)

11 ივნისი

ამაღლება

სული წმიდის დღესასწაული

სუფთა (მწვანე) ორშაბათი

არქიეპისკოპოსის სახელობის დღეობა

წმიდა თემის/მრევლის დღე

საზაფხულო არდადეგები: ივნისის ბოლოს წინა პარასკევის მომდევნო შაბათიდან დაწყებული და სექტემბრის პირველი ორშაბათის წინა კვირა

დღით დამთავრებული.

ბავშვების მეურვეები

ბავშვის ნამდვილ მეურვედ ითვლება მისი მამა ან მისი დედა. სხვა პირებს არ შეუძლიათ, რომ იყვნენ ბავშვის მეურვეები იმ პირობით, თუ მშობლები ცხოვრობენ იმ რაიონში, სადაც მდებარეობს სკოლა. ნამდვილი მეურვის არყოფნის შემთხვევაში იგი წერილობითი ფორმით ნიშნავს თავის შემცვლელს. ბავშვის ნამდვილი მეურვის მიმართ ეჭვების წარმოშობის შემთხვევაში მეურვე ინიშნება სასამართლო წესით.

მშობლების და სხვა პირების სკოლაში მისვლა

მშობლებს და მეურვეებს სკოლაში მისვლა შეუძლიათ გარკვეული დროის განმავლობაში. სხვა დროს მისვლა ხდება მხოლოდ სასკოლო დაწესებულების დირექტორის სპეციალური ნებართვით. დაუშვებელია სკოლაში იმ პირების მისვლა, რომლებსაც უშუალო შეხება არ აქვთ სკოლის საქმიანობასთან, დაწყებითი განათლების გამგის ნებართვის მიღების გარეშე. სკოლაში შესვლა აკრძალული აქვთ პირებს, რომლებიც დაკავებულნი არიან სარეკლამო საქმიანობით, საქონლის გაყიდვით, რომლებიც სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას ან დაკავებულნი არიან საქმიანობით, რომელიც სკოლასთან არ არის დაკავშირებული.

სკოლის დახურვა საგანგებო შემთხვევებში

სკოლის დირექტორს შეუძლია გასცეს განკარგულება მეცადინეობების დროზე ადრე შეწყვეტის შესახებ დაწყებითი განათლების გამგის სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ, და განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთ სიტუაციაში მიიღება ყველა აუცილებელი ზომა მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მშობელთა ასოციაცია

საბავშვო ბაღებში, ასევე დაწყებით და სპეციალიზირებულ სკოლებში არსებობს მშობელთა ასოციაციები, რომელთა წევრებიც არიან მხოლოდ და მხოლოდ იმ ბავშვების მშობლები, რომლებიც აღნიშნულ სკოლაში სწავლობენ წლის განმავლობაში. ასოციაციის ყველა წევრს უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა ასოციაციის საერთო კრებაზე ირჩევენ მმართველ საბჭოს. მშობელთა ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა ჩართულ

ორგანიზაციასთან სკოლის სრულფასოვანი და პროდუქტიული საქმიანობის მიზნით.

კავშირი განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან

განათლებისა და კულტურის სამინისტროსადმი მიმართვისას ყველა მოქალაქისთვის რეკომენდებულია გარკვეული წესისა და იერარქიის დაცვა, იმ შემთხვევების გარდა, როცა საამისოდ სერიოზული მიზეზები არსებობს.

მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ განათლების სამინისტროს საქალაქო განყოფილებებს სხვადასხვა ტიპის ცნობების მისაღებად, რომელთაც უშუალო კავშირი აქვს ყველაფერ ზემოაღნიშნულთან:

• განათლების სამინისტროს ნიქოზიის საქალაქო სამმართველო, განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 1413, ქ. ნიქოზია.

ტელ: 22800901/662, ფაქსი: 22305126

• განათლების სამინისტროს ლიმასოლის საქალაქო სამმართველო, ვასილეოს კონსტანტინუს ქ., სახლი 131, 3080, ქ. ლიმასოლი.

ტელ: 25870278/282, ფაქსი: 25305601.

• განათლების სამინისტროს ლარნაკას და ფამაგუსტას (ამოხოტოსი) საქალაქო სამმართველო, ელეგტერიასის (თავისუფლების) გამზირი, სახლი 65, 7202, არადიპუ, ლარნაკა.

ტელ: 24821358, ფაქსი: 24821380.

• განათლების სამინისტროს პათოსის საქალაქო სამმართველო, ნეოფიტუ ნიკოლაიდის ქ., 8100, პათოსი.

ტელ: 26804513, ფაქსი: 26306139.

დაწყებითი განათლების გამგესთან მიმართვის აუცილებლობის შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას შემდეგ მისამართზე:

• დაწყებითი განათლების გამგე, განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 1413, ნიქოზია.

ტელ: 22800661, ფაქსი: 22428277.

ყველა სკოლამდელი, დაწყებითი და სპეციალიზირებული სასწავლო დაწესებულებების (სახელმწიფო და კერძო) მისამართები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინტერნეტ–საიტზე,

www.moec.gov.cy. ეს ინტერნეტ–საიტი შეიცავს დამატებით ინფორმაციას ყველა ზემოაღწერილ თემაზე.

ზოგადი საშუალო განათლება

ზოგადი საშუალო განათლება ითვალისწინებს **ექვსწლიან საგანმანათლებლო პროგრამას** 12–დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის. **გიმნაზიაში** ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ზოგადი ჰუმანიტარული განათლება. გიმნაზიაში სწავლა პირველი სამი წლის განმავლობაში სავალდებულოა, ანუ 15 წლის ასაკამდე. **ლიცეუმის** საგანმანათლებლო სისტემა უფრო მოქნილად ითვლება და სხვადასხვა მიმართულებებს ითვალისწინებს მოსწავლის პროფილის, უნარებისა და ინტერესების მიხედვით. კერძოდ, 2000–2001 სასწავლო წლიდან ცნება გაერთიანებული ლიცეუმის შემოღებით კვიპროსის მთელ კუნძულზე, არჩევანისა და თავისუფლების პერსპექტივა, რომელიც მოსწავლეს ეხსნება, უფრო ფართო ხდება.

გიმნაზია

სავალდებულო სწავლა – უფასო განათლება

გიმნაზიაში სწავლა **სავალდებულოა** იმ დრომდე, ვიდრე მოსწავლე დაასრულებს გიმნაზიურ ციკლს ან მას შეუსრულდება 15 წელი, იმის მიხედვით, რა უფრო მალე ხდება.

ზოგად საშუალო განათლებას სახელმწიფო სკოლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს **უფასოდ**. დიდაქტიკური სახელმძღვანელოები, რომელსაც გამოსცემს განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან გამოიგზავნება საბერძნეთიდან (დიდაქტიკური მასალების გამომცემლობის გამოცემები), გადაეცემა მოსწავლეებს და პედაგოგებს უფასოდ. სამინისტროსთან არსებულ საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სკოლისგან მოშორებით მცხოვრებ მოსწავლეთათვის უფასო ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ, ან მათთვის დამატებითი შეღავათების დადგენის თაობაზე.

მიზანი

გიმნაზიის ძირითადი მიზანია მოსწავლეებისა და მათი შესაძლებლობების განვითარება ასაკისა და ცხოვრებისეული მოთხოვნილებების მიხედვით. გიმნაზია სთავაზობს საერთო მიმართულების სწავლას, ავსებს დაწყებით სკოლაში მიღებულ ზოგად განათლებას და ამზადებს მოსწავლეებს ჰუმანიტარული მიმართულების უფრო რთული მასალის ათვისებისთვის, ამავდროულად ამზადებს მათ გაერთიანებულ ლიცეუმში შესასვლელად ან ტექნიკური პროფილის ცოდნის ასათვისებლად, რისი არჩევაც მათ შეუძლიათ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ.

დისციპლინების შერჩევა

გიმნაზიაში მეცადინეობები ზოგადია ყველა მოსწავლისთვის. ყველა საგანში არსებობს ფართო სასწავლო პროგრამები, რომლებიც პედაგოგებს სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულებებს და სასწავლო მასალის მოწოდების საშუალებებს სთავაზობენ, და რომლებიც ასევე შეიცავენ სხვა სახის ინფორმაციასაც სწავლის უფრო წარმატებული პროცესისა და ცოდნის წარმატებული ათვისების მიზნით. სასწავლო საათების რაოდენობა შეადგენს კვირაში 37 საათს და ერთნაირია გიმნაზიის ყველა სამი კლასისთვის.

გიმნაზიის თითოეული კლასის მეცადინეობები მოყვანილია ქვემოთ: (ცხრილი წიგნის „კვიპროსის განათლების სისტემა“, 2003 წელი. მე–16 გვერდზე).

გიმნაზია

		1–ლი წელი		მე–2 წელი		მე–3 წელი		საერთო 3 წლის განმავლობაში3	
სექცია	საგანი	მეცადინეობა%		მეცადინეობა %		მეცადინეობა %		მეცადინეობ %	
საერთო		37	100.0	37	100.0	37	100.0	11	100.0
მშობლიური ენა		**8**	**21.6**	**8.5**	**23.0**	**8.5**	**23.0**	**25**	**22.5**
	თანამედროვე	5		5		5		15	13.5
	ძველი	3		3.5		3.5		10	9.0
მათემათიკა		**4**	**10.8**	**3**	**8.1**	**4**	**10.8**	**11**	
მათემათიკა		4		3		4		11	9.9
ზუსტი მეცნიერებები		**3**	**8.1**	**5**	**13.5**	**5**	**13.5**	**13**	**11.7**
	ფიზიკა	0		2		2		4	3.6
	ქიმია	0		1		1		2	1.8
	ბიოლოგია	0		0		2		2	1.8
	ანტროფოლოგია	0		0		0		0	0.0
	ფიზიკა	2		0		0		2	1.8
	გეოგრაფია	1		2		0		3	2.7
საზოგადოებრივი მეზნიერებები		**5**	**13.5**	**4**	**10.8**	**5**	**13.5**	**14**	**12.6**
	ისტორია	3		2		2		7	6.3
	რელიგიათმცოდნეობა	2		2		2		6	5.4
	პროფ. მომზადება	0		0		0.5		0.5	0.5
	პოლიტოლოგია	0		0		0.5		0.5	0.5
	ეკონომიკა	0		0		0		0	0.0
უცხო ენები		**5**	**13.5**	**5**	**13.5**	**5.5**	**14.9**	**15.5**	**14.0**
	ინგლისური	3		3		3.5		9.5	8.6
	ფრანგული	2		2		2		6	5.4
	ენა 1								
	ენა 2								
ინფორმატიკა		**5**	**13.5**	**4**	**10.8**	**4**	**10.8**	**13**	**11.7**
	ინფორმატიკა	2		2		2		6	5.4
	ტექნოლოგია	1.5		1		1		3.5	3.2
	სამ. ეკონომიკა	1.5		1		1		3.5	3.2
ფიზ.აღზრდა		**3**	**8.1**	**3.5**	**9.5**	**3**	**8.1**	**9.5**	**8.6**
	ტანვარჯიში	3		3		3		9	8.1
	პირველი დახმარება	0		0.5		0		0.5	0.5
სულიერი აღზრდა		**4**	**10.8**	**4**	**10.8**	**2**	**5.4**	**10**	**9.0**
	მუსიკა	2		2		1		5	4.5
	ხელოვნება	2		2		1		5	4.5

უცხო ენები

ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელსაც ემყარება საშუალო განათლება კვიპროსზე, მდგომარეობს უცხო ენების ცოდნაში, იმისთვის, რომ კვიპროსელმა მოსწავლეებმა შეიცნონ სხვა კულტურები და ხალხები, ასევე იმისთვის აღიარონ და პატივი სცენ საკუთარ ენას და გააცნობიერონ მისი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში. ამ მიზნით გიმნაზიის მოსწავლეებს ორ უცხო ენას ასწავლიან (ინგლისურს და ფრანგულს).

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება და მომდევნო კლასში გადაყვანა

1. ზეპირი გამოცდა – ტრიმესტრი

სწავლის პროცესში გიმნაზიის მოსწავლეებს აფასებენ შემდეგნაირად:

• ყოველდღიური ზეპირი შემოწმება და გაკვეთილზე აქტიურობის შეფასება.

• მოკლე წერილობითი სავარჯიშოები.

• წერილობითი ნამუშევრები (ტესტები), წინასწარი მომზადებით და მის გარეშე, 1 მეცადინეობის ხანგრძლივობით, ტარდება მინიმუმ სამ თვეში ერთხელ, განვლილი მასალის ფართო მოცულობით.

• საშინაო დავალება.

• შემოქმედებითი დავალებები და სხვა სახის სამუშაოები სხვადასხვა სფეროებში განვითარებისთვის (მუსიკა, ხელოვნება, ტანვარჯიში, უცხო ენები, მოსწავლის ურთიერთობები და მისი თანამონაწილეობა სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში).

2. გამოცდები

ყოველი წლის ივნისში ყველა მოსწავლისთვის ტარდება გადასაყვანი და გამოსაშვები წერილობით გამოცდები, რომლებიც მოიცავენ განვლილი მასალის გარკვეულ მოცულობას (განვლილი მასალის 1/2–დან 2/3–მდე), რის შესახებაც მოსწავლეებს ეცნობებათ წინასწარ. გიმნაზიის სამ კლასში საგამოცდო საგნებია თანამედროვე ბერძნული ენა, ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება).

ქვემოთ მოყვანილია მოსწავლეთა წერილობითი საგამოცდო ნამუშევრების შეფასების ქულების სისტემა:

ფრიადი: 19–დან 20 ქულამდე და „A"–ს ტოლფასია.

ძალიან კარგი: 16–დან 18 ქულამდე და „B"–ს ტოლფასია.

კარგი: 13–დან 15 ქულამდე და „C"–ს ტოლფასია.

დამაკმაყოფილებელი: 10–დან 12 ქულამდე და „D"–ს ტოლფასია.

არადამაკმაყოფილებელი: 1–დან 9 ქულამდე და „E"–ს ტოლფასია

მოსწავლე, რომლის აკადემიური მოსწრება საგამოცდო საგნებში სამი ტრიმესტრის განმავლობაში შეადგენს EEE, EED და EEC–ს (თანამიმდევრობის მიუხედავად), ითვლება არამოსწრებულად, თუ ფინალურ წერით გამოცდაზე 10 ქულაზე ნაკლებს დააგროვებს. მოსწავლე, რომლის გამოცდების შედეგები სამი ტრიმესტრის განმავლობაში შეადგენს DDD, DDE და CDE–ს (თანამიმდევრობის მიუხედავად), ითვლება ჩამორჩენილად, თუ ფინალურ წერით გამოცდაზე 6 ქულაზე ნაკლებს დააგროვებს.

მოსწავლე, რომლის აკადემიური მოსწრება იმ საგნებში, რომლებიც ჩართული არ არის საგამოცდო პროგრამაში, შეადგენს E–ს სამივე ტრიმესტრში ან E–ს ორ ტრიმესტრში და D–ს ან C–ს მესამე ტრიმესტრში, ვალდებულია ჩააბაროს წერილობითი გამოცდა ივნისში. მოსწავლე ითვლება სუსტი მოსწრების მოსწავლედ, თუ წერილობით გამოცდაში მის მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა 10–ზე ნაკლებია.

მოსწავლე, რომელმაც ივნისში გამოცდა არ ჩააბარა საპატიო მიზეზების გამო, **ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა სექტემბერში**, ხოლო ამ გამოცდის შედეგი ჩაითვლება მისი მოსწრების შედეგად მთელი გასული წლის განმავლობაში.

მოსწავლე, რომელსაც არ აქვს აკადემიური მოსწრება ერთ ან რამდენიმე საგანში სასწავლო წლის ბოლოსთვის, ვალდებულია ჩააბაროს ზეპირი და წერილობითი გამოცდები სექტემბერში. წერილობითი გამოცდა ტარდება ზეპირი გამოცდის წინ. ჩაითვლება, რომ მოსწავლემ ვერ ჩააბარა განმეორებითი გამოცდა სექტემბერში, თუ მისი ზეპირი და წერილობითი ნამუშევრების საშუალო ქულა 10–ზე ნაკლებია. მოსწავლე რჩება მეორე წლით სექტემბერში, თუ ის ვერ ჩააბარებს გამოცდას თანამედროვე ბერძნულ ენასა და მათემატიკაში, ან თუ არ აქვს აკადემიური მოსწრება სამ ან მეტ საგანში, ან თუ იგი არასაპატიო მიზეზის გამო არ გამოცხადდა

განმეორებით გამოცდაზე სექტემბერში.

მოსწავლეს გადააქვს ორ საგნამდე სწავლის პირველი წლიდან მეორე წელს და მეორედან მესამე წელს, რომლებშიც მას აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება სექტემბრის გამოცდის მიხედვით, იმ პირობით, რომ იგი არ დარჩება მეორე წლით. სწავლის მესამე წლის მოსწავლე გაირიცხება გიმნაზიიდან, თუ ის ვერ დააგროვებს, როგორც მინიმუმ, 8 ქულას ერთ ან ორ საგანში განმეორებით გამოცდაზე სექტემბერში, და ის არ რჩება მეორე წლით, ზემოაღნიშნულის შესაბამისად. მოსწავლე, რომელმაც ივნისში მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება გადასატან საგანში, და კვლავ ვერ ჩააბარა გამოცდა სექტემბერში, რჩება მეორე წლით.

მოსწავლის მშობლებს ან მეურვეს უფლება აქვთ ყოველი საგამოცდო პერიოდის შედეგების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში შეიტანონ განაცხადი სკოლის დირექტორის მეშვეობით დაწყებითი განათლების გამგის მიერ შედეგების გადახედვის თაობაზე.

გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ (1–ლი, მე–2 და მე–3 წლები) მოსწავლეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი.

გაერთიანებული ლიცეუმი

საშუალო განათლება ლიცეუმში ითვალისწინებს სწავლის სამწლიან პროგრამას 15–დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთა კატეგორიისთვის.

მიზნები

გაერთიანებული ლიცეუმის მიზნების ფარგლებში გათვალისწინებულია:

• პიროვნების ჰარმონიული და ყოველმხრივი საგანმანათლებლო განვითარება და სრულყოფა, თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობების გამყარება და საკუთარი მსჯელობის ჩამოყალიბება, ინიციატივის და წარმოსახვის განვითარება.

• სულიერი, ფსიქიკური, ესთეტიკური და ფიზიკური შესაძლებლობების და უნარების განვითარება საზოგადოების, მეცნიერების, ტექნოლოგიის, ხელოვნების და ძირითადი კულტურული ფასეულობების პრობლემების შემოქმედებითი მიდგომის სწავლების მიზნით.

• აუცილებელი უნარების, ცოდნის, შესაძლებლობებისა და ფასეულობების ათვისება, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის გაგრძელების და ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა, და

სპეციალობის მიხედვით შემდგომი განათლების მიღების პროცესს უფრო პროდუქტიულს და იოლს გახდის.

• და ბოლოს, ისეთ მოქალაქედ ჩამოყალიბება, რომელსაც აშფოთებს თანამედროვე კაცობრიობის პრობლემები და რომელსაც შეუძლია იპოვოს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ დონეზე ეფექტური გადაწყვეტილებები.

ზოგადი დისციპლინები გაერთიანებულ ლიცეუმში

დისციპლინა	პირველი წელი მეცადინეობე–ბის რაოდენობა
თანამედროვე ბერძნული ენა	4
ძველი საბერძნეთის ისტორია	3
მათემატიკა	4
ბუნებისმეტყველება	4
ფიზიკა	2
ქიმია	1
ბიოლოგია	0
გეოგრაფია	1
ისტორია	3
რელიგიათმცოდნეობა	2
პოლიტოლოგია	0
ეკონომიკა	2
სავალდებულო უცხო ენები	5
ინგლისური ენა	3
ფრანგული ენა	2
პირველი უცხო ენა	
მე–2 უცხო ენა	
ინფორმატიკა	2
ტექნოლოგია	2
ფიზკულტურა	2
მუსიკა	1
ხელოვნება	1
მეცადინეობების საერთო რაოდენობა	**35**

დისციპლინების პროგრამა და მეცადინეობები

მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს საგნების პროგრამა თავისი ინტერესებისა და უპირატესობების მიხედვით. ამ მიზნით მოსწავლეებს სთავაზობენ პროფესიული აღზრდით დაკავებულ მასწავლებელთა და მოსწავლის არჩევანის შეფასების სამსახურის დახმარებას (რჩევას).

სწავლის პირველი წელი ზოგადია ყველა მოსწავლისთვის. ყველა დისციპლინა ზოგადსაგანმანათლებლოა, ანუ აუცილებელია. გარდა ამისა, ამ წელს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ ცოდნისა და სხვადასხვა უნარების კარგი ბაზა. ეს არის დაკვირვების, მიმართულების და ორიენტაციის არჩევის წელი (იხ. პირველი ცხრილი წიგნიდან „კვიპროსის საგანმანათლებლო სისტემა“, 2003 წ.).

ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების ფარგლებში მოსწავლეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ უცხო ენების სავალდებულო კურსი. სწავლის პირველ წელს **სავალდებულო უცხო ენებია** ინგლისური და ფრანგული. სწავლის მეორე და მესამე წელს მოსწავლეებმა ლიცეუმში უნდა აირჩიონ ორი უცხო ენა საკუთარი უპირატესობების მიხედვით შეთავაზებული 7 ენიდან.

სწავლის მეორე და მესამე წელს ორი სავალდებულო უცხო ენის არჩევა მოსწავლის მიერ ხდება თავისუფლად და შეიძლება ეს იყოს როგორც ინგლისური, ასევე ფრანგული ენა. იმ ენების ჯგუფში, რომლებიდანაც მოსწავლე აკეთებს თავის არჩევანს, შედის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, რუსული, თურქული. სწავლის მეორე წელს არჩეული სავალდებულო უცხო ენები ასევე რჩება სწავლის მომდევნო (მესამე) წელსაც.

სწავლის მეორე და მესამე წელს მოსწავლე სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებს, რომლებიც სავალდებულოდ ითვლება ყველა მოსწავლისთვის. ამასთან ერთად, მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს რიგი პროფილური საგნებისა, რომლებიც მას დაეხმარება მის მომავალ პროფესიაში, ასევე საგნები, რომლებიც შეესაბამება მის ინტერესებს და ხელს შეუწყობს მისი ცოდნის გაღრმავებას.

სხვა სიტყვებით:

სწავლის მეორე წელს მოსწავლეები ვალდებულნი არიან მოისმინონ **19 მეცადინეობა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში და სავალდებულო უცხო ენებში**. ასევე მათ უნდა აირჩიონ **სამი ან ოთხი პროფილური საგანი კვირაში 4 მეცადინეობით და ორი ან არცერთი საგანი ინტერესების მიხედვით 2 მეცადინეობა კვირაში**. ეს არჩევანი ხორციელდება იმ საგნების ჩამონათვალის მეშვეობით, რომლებსაც მოსწავლეებს სთავაზობენ, და რომლებშიც მითითებულია შესაძლო შეზღუდვები ან არჩევის პირობები.

სწავლის მესამე წელს მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ **17 მეცადინეობა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში და სავალდებულო უცხო ენებში. მათ ასევე შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ ოთხი პროფილური საგანი კვირაში 4 მეცადინეობით და ერთი საგანი ინტერესების მიხედვით 2 მეცადინეობა კვირაში.** ეს არჩევანი ხორციელდება იმ საგნების ჩამონათვალის მეშვეობით, რომლებსაც მოსწავლეებს სთავაზობენ, და რომლებშიც მითითებულია შესაძლო შეზღუდვები ან არჩევის პირობები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პროფილური საგნის არჩევის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია ანალოგი (ერთი და იგივე სახელწოდებით) ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს შორის, ითვლება, რომ მოსწავლე ისმენს მხოლოდ ერთ საგანს, რომელიც პროფილურია და რომელსაც ეთმობა იმდენი სასწავლო საათი, რამდენიც ეთმობა ჯამში მის შემადგენლობაში შემავალ საგნებს (იხ. ცხრილი 2 ქვემოთ)

ზოგადი დისციპლინები გაერთიანებულ ლიცეუმში

დისციპლინა	მე–2 წელი მეცადინეობმე–ბის რაოდენობა	მე–3 წელი მეცადინეობმე–ბის რაოდენობა
თანამედროვე ბერძნული ენა	4	5
ძველი საბერძნეთის ისტორია	1	0
მათემატიკა	3	2
ბუნებისმეტყველება	3	0
ფიზიკა	2	0
ქიმია	1	0
ბიოლოგია	0	0
გეოგრაფია	0	0
ისტორია	1.5	2
რელიგიათმცოდნეობა	1.5	2
პოლიტოლოგია	0	1
ეკონომიკა	0	0
სავალდებულო უცხო ენები	4	4
ინგლისური ენა	*	*
ფრანგული ენა	*	*
პირველი უცხო ენა	2	2
მე–2 უცხო ენა	2	2
ინფორმატიკა	0	0
ტექნოლოგია	0	0
ფიზკულტურა	1	1
მუსიკა	0	0
ხელოვნება	0	0
მეცადინეობების საერთო რაოდენობა	**19**	**17**

* ლიცეუმში სწავლის მე–2 წელს მოსწავლე ირჩევს ორ უცხო ენას ზოგადი დისციპლინების სახით, 2 მეცადინეობა თითოეულში, და განაგრძობს მათ სწავლას მესამე სასწავლო წელსაც. ეს ენები შეიძლება იყოს ინგლისური ენა და/ან ფრანგული ენა. მოსწავლეს არჩევანის გაკეთება შეუძლია შემდეგ უცხო ენებში: ინგლისურ, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, რუსული.

პროფილური დისციპლინები კვირაში 4 მეცადინეობით

დისციპლინა	მე–2 წელი	მე–3 წელი	სავალდებულო წინასწარი მეცადინეობები
1. ძველბერძნული ენა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
2. ისტორია	*	*	
3. ლათინური ენა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
4. მათემატიკა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
5. ფიზიკა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
6. ქიმია	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
7. ბიოლოგია		*	
8. ბუნებისმეტყველება	*		
9. ინფორმატიკა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
10. ტექნოლოგია	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
11. დიზაინი (ტექნიკური, არქიტექტურული, თავისუფალი)	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
12. ხაზვის საფუძვლები		*	
13. ინგლისური ენა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
14. ფრანგული ენა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
15. გერმანული ენა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
16. სხვა უცხო ენა (იტალიური, ესპანური, რუსული)	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
17. ვაჭრობა	*		
18. პოლიტიკური ეკონომიკა		*	
19. ბიზნესის ორგანიზების საფუძვლები		*	
20. საბუღალტრო აღრიცხვა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
21. საოფისე მუშაობის საფუძვლები		*	
22. დაქტილოგრაფია	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
23. სტენოგრაფია	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
24. ეკონომიკური მათემატიკა		*	
25. გაყიდვების მეთოდიკა		*	
26. ეკონომიკა და ტურიზმი	*		
27. ფულადი პოლიტიკა		*	
28. ფიზიკური აღზრდა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
29. მუსიკა	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
30. ხელოვნება	*	*	მე--2 წლის ექვივალენტი
31. ოჯახის საფუძვლები	*	*	მე–2 წლის ექვივალენტი

* ვარსკვლავით აღნიშნულია კლასები, სადაც აღნიშნული დისციპლინა ისწავლება.

თუ სწავლის მესამე წელს მოსწავლეს სურს აირჩიოს საგანი, რომლის სწავლაც ითვლება სავალდებულოდ მეორე წელსაც, მას უფლება აქვს აირჩიოს ეს საგანი შესაბამისი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოცემულ საგანში სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში.

Stream Subjects

სწავლის მე–2 წელი

3 ან 4 პროფილური საგანი. მეცადინეობების ოდენობა 12–16

1. პროფილური საგნები, 4 მეცადინეობა თითოეულში, რომელთა შესწავლაც შესაძლებელია მომდევნო კლასში

ძველბერძნული ენა
ლათინური ენა
ისტორია (არასავალდებულოა სწავლის მესამე წლის ექვივალენტური საგნისთვის)
მათემატიკა
ფიზიკა
ქიმია
ინფორმატიკა
ტექნოლოგია
დიზაინი (ტექნიკური, არქიტექტურული, თავისუფალი)
ინგლისური ენა
ფრანგული ენა
გერმანული ენა
სხვა უცხო ენა (იტალიური, ესპანური, რუსული)
საბუღალტრო აღრიცხვა
სტენოგრაფია
დაქტილოგრაფია
ფიზიკური აღზრდა
ხელოვნება
ხელოვნება
ოჯახის საფუძვლები

2. პროფილური საგნები, 4 მეცადინეობა თითოეულში, რომელიც მხოლოდ სწავლის მეორე წელს ისწავლება ლიცეუმში

ბუნებისმეტყველება
ვაჭრობა
ეკონომიკა და ტურიზმი

Stream Subjects

სწავლის მე–3 წელი

4 პროფილური საგანი. მეცადინეობების ოდენობა 16

1. პროფილური საგნები, 4 მეცადინეობა თითოეულში, რომელთა არჩევაც ვარაუდობს მათ შესწავლას წინა წელსაც

ძველბერძნული ენა
ლათინური ენა
მათემატიკა
ფიზიკა
ქიმია
ინფორმატიკა
ტექნოლოგია
დიზაინი (ტექნიკური, არქიტექტურული, ავისუფალი)
ინგლისური ენა
ფრანგული ენა
გერმანული ენა
სხვა უცხო ენა (იტალიური, ესპანური, რუსული)
საბუღალტრო აღრიცხვა
დაქტილოგრაფია
სტენოგრაფია
ფიზიკური აღზრდა
ხელოვნება
ხელოვნება
ოჯახის საფუძვლები

2. პროფილური საგნები, 4 მეცადინეობა თითოეულში, რომელიც მხოლოდ სწავლის მესამე წელს ისწავლება ლიცეუმში

ისტორია (არასავალდებულოა სწავლის მესამე წლის ექვივალენტური საგნისთვის)
ბიოლოგია
ხაზვის საფუძვლები
პოლიტიკური ეკონომიკა
ბიზნესის ორგანიზების საფუძვლები
საოფისე მუშაობის საფუძვლები
ეკონომიკური მათემატიკა
გაყიდვების ტექნიკა
ფულადი პოლიტიკა

საგნები ინტერესების მიხედვით და (ან) დამატებითი საგნების 2 გაკვეთილი კვირაში

საგანი	კლასი „ბ“	კლასი „გ“	
1. ძველბერძნული ენა (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
2. მათემატიკა (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
3. ფიზიკა (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
4. ქიმია (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
5. ისტორია (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
6. საბუღალტრო აღრიცხვა (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
7. ფინანსები და ეკონომიკა (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
8. ბიოლოგია (როგორც დამატებითი)	*	*	წინასწარ შეთანხმებული მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში
		არჩევანი აღნიშნული კლასებისთვის	
9. ისტორია (სურვილისამებრ)		მხოლოდ „ბ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „ისტორიის“ არჩევის უფლების გარეშე	
10. თეატრი I		მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის	
11. თეატრი II		„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად	
12. ფსიქოლოგია		მხოლოდ „ბ“ კლასისთვის	
13. მუსიკა I		მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „მუსიკის საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე	
14. მუსიკა II		„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად	
15. ხელოვნება I		მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „ხელოვნების საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე	
16. ხელოვნება II		„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად	

17. გარემო I 18. ან ადამიანი და ჯანმრთელობა I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „გარემო“ არჩევის უფლების გარეშე
19. გარემო II 20. ან ადამიანი და ჯანმრთელობა II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად
21. ასტრონომია	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
22. მეცნიერებათა ისტორია	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
23. გამოყენებითი ინფორმატიკა I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „ინფორმატიკა“ არჩევის უფლების გარეშე
24. გამოყენებითი ინფორმატიკა II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად
25. ლოგიკა	მხოლოდ „გ“ კლასისთვის
26. ფილოსოფია	მხოლოდ „გ“ კლასისთვის
27. სპორტი – ტანვარჯიში I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „ფიზიკური აღზრდა – ოლიმპიური განათლება“ არჩევის უფლების გარეშე
28. სპორტი – ტანვარჯიში II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად
29. ჟურნალისტიკა	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
30. ლიტერატურა I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის
31. ლიტერატურა II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად
32. ხელოვნების ისტორია	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
33. ფოტოგრაფია	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
34. სოციოლოგია	მხოლოდ „გ“ კლასისთვის
35. გეოგრაფია – გეოლოგია	მხოლოდ „ბ“ კლასისთვის
36. საოჯახო მეურნეობა – ახალშობილთა მოვლა I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის, მიმართულების საგნის „ოჯახური აღზრდა“ არჩევის უფლების გარეშე
37. საოჯახო მეურნეობა – ახალშობილთა მოვლა II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად
38. საფონდო ბირჟა I	მხოლოდ „ბ“ ან „გ“ კლასისთვის
39. საფონდო ბირჟა II	„გ“ კლასისთვის „ბ“ კლასში წინასწარ შეთანხმებულ შესაბამის საგანთან ერთად

* ვარსკვლავი აღნიშნავს კლასს, რომლისთვისაც შემოთავაზებულია თემა.

საგნები „გარემო I“ და „ადამიანი და ჯანმრთელობა I“ არ შეიძლება არჩეულ იქნას ერთი და იმავე სასწავლო წელს.

დამატებითი საგნები სურვილის მიხედვით

„ბ“ კლასში 0–დან 2 საგნამდე არჩევა – გაკვეთილების რაოდენობა არჩევანის მიხედვით 0–დან 4–მდე

ბ1. დამატებითი საგნები თითოეულ საგანში 2 გაკვეთილი, რომლის არჩევასაც ითვალისწინებს მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში.

ძველბერძნული ენა (როგორც დამატებითი)

მათემატიკა (როგორც დამატებითი)

ფიზიკა (როგორც დამატებითი)

ქიმია (როგორც დამატებითი)

საბუღალტრო აღრიცხვა (როგორც დამატებითი)

ბ2. საგნები სურვილის მიხედვით, 2 გაკვეთილი თითოეულ საგანში, რომელსაც სთავაზობენ მხოლოდ „ბ“ კლასს.

ისტორია (როგორც დამატებითი)

ფსიქოლოგია

ასტრონომია

მეცნიერებათა ისტორია

ჟურნალისტიკა

ხელოვნების ისტორია

ფოტოგრაფია

გეოგრაფია – გეოლოგია

ბ3. საგნები ინტერესების მიხედვით 2 გაკვეთილი თითოეულ საგანში, რომლებიც შესაძლოა შეთავაზებულ იქნას „გ“ კლასში.

თეატრი I

მუსიკა I (მიმართულების საგნის „მუსიკის საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე)

ხელოვნება I (მიმართულების საგნის „ხელოვნების საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე)

გარემო I (მიმართულების საგნის „გარემო“ არჩევის უფლების გარეშე) ან „ადამიანი და ჯანმრთელობა“ (ორი საგნიდან მხოლოდ ერთი)

გამოყენებითი ინფორმატიკა I (მიმართულების საგნის „ინფორმატიკა“ არჩევის უფლების გარეშე)

სპორტი და ტანვარჯიში I (მიმართულების საგნის „ოლიმპიური განათლება“ არჩევის უფლების გარეშე)

ლიტერატურა I

საოჯახო მეურნეობა – ახალშობილთა მოვლა I (მიმართულების საგნის „ოჯახური აღზრდა“ არჩევის უფლების გარეშე)

საფონდო ბირჟა I

დამატებითი საგნები სურვილისამებრ

არჩევანი „ბ“ კლასში, 1 საგანი – გაკვეთილების რაოდენობა 2 არჩევანის მიხედვით

ბ1. დამატებითი საგნები 2 გაკვეთილი თითოეულ საგანში, რომლის არჩევასაც ითვალისწინებს მიმართულების შესაბამისი საგანი იმავე კლასში.

ძველბერძნული ენა (როგორც დამატებითი)

მათემატიკა (როგორც დამატებითი)

ფიზიკა (როგორც დამატებითი)

ქიმია (როგორც დამატებითი)

საბუღალტრო აღრიცხვა (როგორც დამატებითი)

ბიოლოგია (როგორც დამატებითი)

ისტორია (როგორც დამატებითი)

ბ2. საგნები არჩევანის მიხედვით, 2 გაკვეთილი თითოეულ საგანში, რომელსაც სთავაზობენ მხოლოდ „ბ“ კლასს.

ლოგიკა

ფილოსოფია

სოციოლოგია

თეატრი I

მუსიკა I (მიმართულების საგნის „მუსიკის საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე)

ხელოვნება I (მიმართულების საგნის „ხელოვნების საკითხები“ არჩევის უფლების გარეშე)

გარემო I (მიმართულების საგნის „გარემო“ არჩევის უფლების გარეშე) ან „ადამიანი და ჯანმრთელობა“ (ორი საგნიდან მხოლოდ ერთი)

გამოყენებითი ინფორმატიკა I (მიმართულების საგნის „ინფორმატიკა“ არჩევის უფლების გარეშე)

სპორტი და ტანვარჯიში I (მიმართულების საგნის „ოლიმპიური განათლება“ არჩევის უფლების გარეშე)

ლიტერატურა I

საოჯახო მეურნეობა – ახალშობილთა მოვლა I (მიმართულების საგნის „ოჯახური აღზრდა“ არჩევის უფლების გარეშე)

საფონდო ბირჟა I

ბ3. საგნები სურვილის მიხედვით 2 გაკვეთილი თითოეულ საგანში, რომლის არჩევასაც ითვალისწინებს მიმართულების შესაბამისი საგანი „ბ“ კლასში.

თეატრი II

მუსიკა II

ხელოვნება II

გარემო II და ადამიანი და ჯანმრთელობა II (ორი საგნიდან მხოლოდ ერთი)

გამოყენებითი ინფორმატიკა II

საოჯახო მეურნეობა – ახალშობილთა მოვლა II

საფონდო ბირჟა II

თუ სწავლის მესამე წელს მოსწავლეს სურს აირჩიოს საგანი, რომლის სწავლაც ითვლება სავალდებულოდ მეორე წელსაც, მას უფლება აქვს აირჩიოს ეს საგანი შესაბამისი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოცემულ საგანში სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში.

პროგრამა „აქტიურობა – შემოქმედება – საზოგადოებრივი წვლილი“ გაერთიანებულ ლიცეუმში

პროგრამის „აქტიურობა – შემოქმედება – საზოგადოებრივი წვლილი“ ორგანიზებას ახდენს სკოლა და განათლებისა და კულტურის სამინისტრო. პროგრამა სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის, ხოლო მასში მონაწილეობა ხარისხობრივ გავლენას ახდენს ატესტატზე. ხდება ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების სისტემატიზაცია, განზოგადება და შეფასება.

პროგრამის **მიზნები**:

• მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;

• ინიციატივის, უნარებისა და ინტერესების განვითარების წახალისება;

• ცოდნა და მომსახურეობის შეთავაზება არა მარტო სასკოლო საზოგადოების დონეზე, არამედ უფრო მაღალ სოციალურ, მათ შორის საერთაშორისო დონეზეც;

• დემოკრატიული ცნობიერების და კუთვნილების ფორმირება;

• მოსწავლეთა კვლევითი შემართებისა და საკუთარი უნარების რწმენის, ასევე პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცება;

• მოსწავლეთა შორის, ასევე მოსწავლეთა და მათ პედაგოგებს შორის ურთიერთობის ფართო შესაძლებლობების შექმნა.

პროგრამაში შედის ყველა ის ღონისძიება, რომლებიც არასასწავლო დროს და სამუშაო დროის განმავლობაში ტარდება. არასასწავლო დროს გამართულ ღონისძიებებს მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებიან ნებაყოფლობით საფუძველზე.

პროგრამაში შედის შემდეგი ღონისძიებები:

• თავისუფალი ღონისძიებები (3–4–ჯერ წელიწადში) 28 მეცადინეობა.

• ექსკურსიები/გასეირნებები (4–ჯერ წელიწადში) 28 მეცადინეობა.

• კლასის ხელმძღვანელთან ორსაათიანი საუბარი.

• შემოქმედებითი მუშაობის საათები.

• ფიზიკური აქტიურობა.

• სხვა ღონისძიებები.

• ღონისძიებები არასამუშაო დროს.

შეფასების სისტემა

მოსწავლეთა შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს და მიმართულია სასწავლო პროგრამაში მითითებული ამოცანების შესრულების შემოწმებაზე. საშუალო განათლების სფეროში შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ, წარმომქმნელ და საბოლოო შეფასებას. საბოლოო შეფასება ხდება ფინალური გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგების მიხედვით.

მოსწავლეების შეფასება ხდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

• კლასში ყოველდღიურ სასწავლო პროცესში, ასევე ყველა სხვა სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა;

• წერითი ნამუშევრების შედეგები ყოველი ტრიმესტრის დასასრულს და ფინალური გამოცდების შედეგები;

• მონაწილეობა პროგრამის „აქტიურობა – შემოქმედება – საზოგადოებრივი წვლილი" ღონისძიებებში;

საკონტროლო სამუშაოების სახეები და შინაარსი

საკონტროლო სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს

• ერთერთ გაკვეთილზე ნებისმიერ სასწავლო დღეს, 45 წუთი (გაფრთხილების გარეშე);

• ერთი სასწავლო მეცადინეობის ხანგრძლივობით დღეში ერთხელ მიმდინარე დღის ნებისმიერ საგანში (წინასწარი გაფრთხილებით);

• ერთი სასწავლო მეცადინეობის ხანგრძლივობით გარკვეული საკითხების მიხედვით – ზოგადი ან არა (წინასწარი გაფრთხილებით).

იმავე დღეს, როცა მოსწავლეები საკონტროლო ნამუშევარს წერენ, რის თაობაზეც ისინი წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, მასწავლებლებს შეუძლიათ შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნა იმ დღის ნებისმიერ საგანში ზეპირი გამოცდის სახით.

საკონტროლო სამუშაოს გაცდენა

თუ მოსწავლე არ ესწრება საკონტროლო სამუშაოს, მას შესაძლოა გადაუვადდეს გამოცდა პირველივე შესაძლებელ შემთხვევამდე ზეპირი ან წერილობითი ფორმით მასწავლებლის შეხედულებისამებრ. თუ მოსწავლე აცდენს მეცადინეობებს იმ საკონტროლო სამუშაოს წინ, რომლის თაობაზეც ის წინასწარაა გაფრთხილებული, ჩაითვლება არასაპატიო მიზეზად იმ შემთხვევების გარდა, თუკი მისი არყოფნის მიზეზს სკოლის დირექტორის

მოადგილე საკმაოდ სერიოზულად მიიჩნევს.

საგამოცდო საგნები. მოსწავლის გადასვლა ლიცეუმის მომდევნო კლასში

სავალდებულო საგამოცდო საგნებად საბოლოო გადასაყვანი ან გამოსაშვები გამოცდებისთვის ითვლება შემდეგი:

1 წელი: თანამედროვე ბერძნული ენა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება).

მე–2 წელი: თანამედროვე ბერძნული ენა, მათემატიკა და ორი (2) პროფილური საგანი მოსწავლის არჩევით.

მე–3 წელი: თანამედროვე ბერძნული ენა, მათემატიკა და ორი (2) პროფილური საგანი მოსწავლის არჩევით.

თუ ისეთი საგანი, როგორიცაა მათემატიკა, მოსწავლის მიერ არჩეული ერთერთი პროფილური საგანია, მას მოუწევს გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში, როგორც პროფილურ საგანში, და დამატებით, ორ სხვა პროფილურ საგანში. თუ მოსწავლეს მათემატიკა არ აურჩევია როგორც პროფილური საგანი, მათემატიკაში გამოცდას ის აბარებს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საგანში.

სწავლის მესამე წელს გამოცდები ბარდება კვიპროსის მთელ ტერიტორიაზე და ითვლება ერთიან გამოსაშვებ გამოცდებად. ის მასალა, რომელიც ისწავლება სწავლის მესამე წელს, ასევე არის საგამოცდო მასალაც. სწავლის მესამე წლის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსწავლე იღებს შესაბამის **ატესტატს**.

სწავლის პირველი წლის დასრულების შემდეგ გაერთიანებულ ლიცეუმში მოსწავლე საშუალება ეძლევა შეამოწმოს თავისი ცოდნა და მიიღოს **ცნობა** ინფორმატიკაში **მისაღები ცოდნის თაობაზე**.

ქვემოთ მოყვანილია შკალა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლეთა საგამოცდო ნამუშევრები:

არადამაკმაყოფილებელი: 1–9 ქულა
დამაკმაყოფილებელი: 10–12 ქულა
კარგი: 13–15 ქულა
ძალიან კარგი: 16–18 ქულა
ფრიადი: 19–20 ქულა

მინიმალური გამსვლელი ქულა, ანუ საბაზო შეფასება არის „დამაკმაყოფილებელი", ანუ 10. **იმ საგნებისთვის, რომლებშიც** წლის ბოლოს **წერითი სამუშაოები არ ტარდება,** საბოლოო შეფასება დგება ყველა სამ ტრიმესტრში მიღებული ქულების საშუალო ქულის შეჯამებით.

ცუდი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები (ანუ 10–ზე ნაკლები საერთო ქულით), იმ საგნებში, რომლებშიც წლის ბოლოს წერილობითი გამცდები არ ტარდება, ვალდებულნი არიან ჩააბარონ წერილობითო გამოცდა ივნისში ამ საგანშიც. იმ **საგნებში, რომლებშიც წლის ბოლოს ტარდება წერილობითი გამოცდები**, წლიური შეფასება ყველა სამი ტრიმესტრის და ასევე საბოლოო წერილობითი გამოცდის შეფასების საშუალო ქულის შედგენით.

იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ივნისში **საბოლოო წერილობით გამოცდებში არ მონაწილეობდნენ არასაპატიო მიზეზებით**, გამოცდები გადაიტანება სექტემბრისთვის, ხოლო ამ გამოცდის შეფასება ხდება საბოლოო წლიური შეფასება.

მოსწავლეთათვის, რომლებიც პედაგოგიური საბჭოს აზრით, **საპატიო მიზეზებით** არ მონაწილეობენ წერილობით გამოცდაში, სკოლა ორგანიზებას გაუკეთებს გამოცდას ივნისში ან სექტემბერში.

მოსწავლე გადადის მომდევნო კლასში ივნისში ჩატარებული გამოცდების შედეგების მიხედვით:

ა) თუ ყოველ საგანში დააგროვებს არანაკლებ 10 ქულისა („დამაკმაყოფილებელი“);

ბ) თუ ის მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას წლის ბოლოს წერილობითი ნამუშევრისთვის ერთერთ საგანში, რომელიც ჩართული არ არის საგამოცდო პროგრამაში, მაგრამ ამასთან ერთად მისი საშუალო ქულა საგამოცდო საგნებში და იმ საგანში, რომელშიც მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება, ჯამში შეადგენს არანაკლებ 10 ქულისა („არადამაკმაყოფილებელი“).

მოსწავლე რჩება მეორე წლით ივნისში ჩატარებული გამოცდების მიხედვით:

ა) თუ მას დაბალი მოსწრება აქვს 3 ან მეტ საგამოცდო საგანში, ან 2 საგამოცდო საგანში და 2 ან უფრო მეტ საგანში, რომლებიც არ შედიან საგამოცდო პროგრამაში, ან

ბ) დაბალი მოსწრების გამო.

იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც უწევთ გამოცდის გადაბარება სექტემბერში, ასევე მათთვის, რომელთაც უწევთ გამოცდის გადაბარება ნაწილობრივ ან სრული დაბალი მოსწრების გამო, გამოცდა ტარდება **წერილობითი და ზეპირი ფორმით** და გამოცდას იბარებს სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული ორი პედაგოგი. წერილობითი გამოცდა ტარდება ზეპირი გამოცდის წინ.

მოსწავლე გადადის მომდევნო კლასში სექტემბერში ჩატარებული გამოცდების შედეგების მიხედვით:

ა) თუ ყოველ საგანში მიიღებს „დამაკმაყოფილებელის“ არანაკლებ

შეფასებას;

ბ) თუ ის მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას წერითი ნამუშევრისთვის წლის ბოლოს ერთერთ საგანში, რომელიც ჩართული არ არის საგამოცდო პროგრამაში, მაგრამ მისი საგამოცდო საგნების საბოლოო წერითი ნამუშევრების და იმ საგნის, რომელშიც მან მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება, საშუალო ქულა ჯამში შეადგენს 10 ქულაზე („დამაკმაყოფილებელი") არანაკლებს.

სექტემბერში ჩატარებული გამოცდების შედეგების მიხედვით მოსწავლე რჩება მეორე წლით:

ა) თუ ის ვერ მოაგროვებს მომდევნო კლასში გადასასვლელად საჭირო ქულების რაოდენობას;

ბ) თუ ის არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობს სექტემბრისთვის დანიშნულ განმეორებით გამოცდაში.

მოსწავლეს ათავისუფლებენ სკოლიდან:

ა) თუ ის ყველა საგანში დააგორვებს 10 ქულაზე („დამაკმაყოფილებელი") ნაკლებს;

ბ) თუ ის მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას წლის ბოლოს წერით ნამუშევარში ერთერთ საგანში, რომელიც ჩართული არ არის საგამოცდო პროგრამაში, მაგრამ ამასთან მისი საგამოცდო საგნებში საბოლოო წერითი ნამუშევრებისა და იმ საგნის, რომელშიც არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, საშუალო ქულა 10–ზე („დამაკმაყოფილებელი") ნაკლებია;

გ) თუ ის მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას არანაკლებ 8–ზე წერით ნამუშევარში წლის ბოლოს საგამოცდო საგნებიდან ერთ–ერთში, მაგრამ ამასთან მისი საგამოცდო საგნებში წერითი ნამუშევრების (იმ საგნის ჩათვლით, რომელშიც მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება) საშუალო ქულა ჯამში შეადგენს 12–ზე ნაკლებს.

მოსწავლეს, რომელმაც ვერ შეძლო ივნისში გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება, უფლება აქვს ხელახლა ჩააბაროს ეს გამოცდა ამისთვის სექტემბერში გამოყოფილ პერიოდში, ან ივნისში, ან თებერვალში მომდევნო სამი წლის განმავლობაში გამოცდაზე ჩაჯრის შემდგომ.

მომდევნო კლასში გადასულ მოსწავლეებს ან ლიცეუმის კურსდამთავრებულებს სასწავლო წლის ბოლოს გადაეცემათ მოწმობა (მათ, ვინც წარმატებით დაასრულა სწავლის პირველი და მეორე წელი), ან **ატესტატი დამთავრების შესახებ** (კურსდამთავრებულებს). ეს ატესტატი უპირატესობას იძლევა საოფისე სამსახურში მიღებისას ან ეროვნულ და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დაშვებისას.

საღამოს გიმნაზიები

საშუალო განათლების სეგმენტს განეკუთვნება ასევე საღამოს გიმნაზიებიც, რომლებიც საღამოს საათებში მუშაობენ, კვიპროსის ყველა ქალაქში თითო-თითო გიმნაზია, და ასევე ერთი გიმნაზია თრენაროსზე. საღამოს გიმნაზიები მუშაობენ როგორც დაწყებითი კლასები და გიმნაზიის მესამე წლის სწავლების პროგრამითაც, და შემდგომში სთავაზობენ საგნების ორ პროგრამას მე–4, მე–5, მე–6 და მე–7 კლასებში, რომლებიც ანალოგიურია იმ პროგრამებისა, რომელთაც სთავაზობენ ლიცეუმში სწავლის პირველ და მესამე წლებში (საგნები არჩევით).

საღამოს გიმნაზიებში სწავლა შეუძლიათ 18 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს, ან იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს 15 წლის ასაკს, და შესაძლოა მუშაობენ ოჯახის უზრუნველყოფაზე, ან არიან დიასახლისები.

სპეციალური აღზრდა და განათლება

კვიპროსის საშუალო სკოლებში იღებენ ყველა ზომას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების აღზრდისა და სწავლებისთვის. პოტენციურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გამოვლებით დაკავებულია სპეციალური აღზრდისა და განათლების სპეციალური საოლქო ცენტრი, რომელიც ქვეყნის ყველა მხარეში მოქმედებს. ამ ორგანიზაციაში შედიან:

• განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების პირველი ინსპექტორი, გამგის სახით.

• განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი დონის წარმომადგენელი.

• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პედაგოგი.

• სკოლის ფსიქოლოგი.

• პროფესიონალი ექიმი–ფსიქოლოგი.

• სოციალური სამსახურის წარმომადგენელი.

• ექიმი–ლოგოპედი.

სპეციალური აღზრდა და განათლება ხორციელდება ჩვეულებრივ კლასში ან დაწყებითი სკოლის სპეციალური კლასში, ან სპეციალური აღზრდისა და განათლების დაწყებით სკოლაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხანგრძლივი დროის მანძილზე არ შეუძლიათ დაწყებითი ან საშუალო განათლების მიღება დადგენილი პროგრამის მიხედვით, შესაძლოა შესთავაზონ სწავლის ალტერნატიული გზა.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლება

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სექტორში წარმოდგენილია სწავლების შემდეგი პროგრამები:

- ტრადიციული პროფესიულ-ტექნიკური განათლება.
- პროფესიული განათლების სისტემა
- კვალიფიკაციის ამაღლება.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლებაში გამოკვეთილია ორი მიმართულება: **თეორიული** და **პრაქტიკული**. ამ პროგრამების მიხედვით შეუძლიათ ისწავლონ სტუდენტებმა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს გიმნაზიაში სწავლის მესამე წელი. ორი მიმართულებით სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს სამ წელს. ამ პროგრამის მიხედვით განათლების მიღების დასრულების შემდეგ სტუდენტებს გადაეცემათ ატესტატი, რომელიც სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ატესტატის ექვივალენტურადაა აღიარებული.

ტრადიციული პროფესიულ–ტექნიკური განათლება

ფაკულტეტები და სპეციალობები

თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით სტუდენტებს სთავაზობენ შემდეგ ფაკულტეტებს:

საინჟინრო მექანიკა

რადიოელექტრონიკა

საინჟინრო–სამშენებლო სპეციალობა, არქიტექტურა

დიზაინი

ხის გადამამუშავებელი წარმოება: ავეჯის წარმოება

ხელოვნება

ტანსაცმლის წარმოება

საპარიკმახერო საქმე

სოფლის მეურნეობა

სასტუმროების ბიზნესი: სასურსათო ტექნოლოგიები

დისციპლინების პროგრამა და მეცადინეობების განრიგი

საშუალო პროფესიულ–ტექნიკური განათლების სასწავლო პროგრამის საგნები განაწილებულია ხუთ კატეგორიად:

- ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები.
- მომიჯნავე დისციპლინები.
- არჩევითი დისციპლინები.
- არჩეული ფაკულტეტის ტექნიკურ/საწარმოო დისციპლინები.
- ტექნიკურ/საწარმოო დისციპლინები სპეციალობების მიხედვით.

დისციპლინების პროგრამა და მეცადინეობების განრიგი სხვადასხვა ფაკულტეტებზე და სპეციალობებში საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სფეროში						
დისციპლინის კატეგორია	**თეორიული მიმართულება**			**პრაქტიკული მიმართულება**		
	1 წელი	მე–2 წელი	მე–3 წელი	1 წელი	მე–2 წელი	მე–3 წელი
ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები						
რელიგიათმცოდნეობა	1	1	1	1	1	1
ბერძნული ენა	4	4	5	4	4	5
ისტორია და სამოქალაქო აღზრდა	1	1	1	1	1	1
შესავალი პროგრამირებაში	2	-	-	2	-	-
ფიზიკური აღზრდა	1	1	1	1	1	1
მეცადინეობების საერთო რაოდენობა	**9**	**7**	**8**	**9**	**7**	**8**
მომიჯნავე დისციპლინები						
მათემატიკა	4	4	4	2	2	2
ფიზიკა	3	4	4	2	2	2
ქიმია	1	2	-	1	2	-
ინგლისური ენა	3	2	2	3	2	2
მეცადინეობების საერთო რაოდენობა	**11**	**12**	**10**	**8**	**8**	**6**
არჩევითი დისციპლინები	-	4	4	-	4	4
ფაკულტეტის ტექნიკური და საწარმოო დისციპლინები	15	-	-	18	-	-
ტექნიკური და საწარმოო დისციპლინები სპეციალობის მიხედვით	-	12	13	-	16	10
საწარმოო პრაქტიკა	-	-	-	-	-	7
მეცადინეობების საერთო რაოდენობა	**35**	**35**	**35**	**35**	**35**	**35**

პირველ წელს ყველა სტუდენტს აქვს დისციპლინების საერთო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით.

მე–2 წელს სტუდენტები მისდევენ იმ მიმართულებას, რომელსაც აირჩევენ პირველ წელს, ასევე ირჩევენ თავის სპეციალობას, რომლის ათვისებას განაგრძობენ სწავლის **მე–3 წელსაც**.

კურსდამთავრებულთა პერსპექტივები

ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისა და ჩამოყალიბების გარდა ეს საგანმანათლებლო პროგრამა ასევე აძლევს კურსდამთავრებულს გნოსეოლოგიურ ბაზას, რომელიც აუცილებელია:

• პროფესიულ და სოციალურ ცხოვრებაში ბუნებრივი და შემოქმედებითი ადაპტაციისთვის.

• კვიპროსის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობის მიღებისთვის.

• განუწყვეტელი აღზრდისა და ჩამოყალიბებისთვის მუდმივად ცვალებად რეალობასთან ადაპტაციისა და გამეორებადი ადაპტაციის მიზნით.

შემდგომი სწავლა

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ:

• იყვნენ წარმატებული პრეტენდენტები სწავლის გაგრძელებისა კვიპროსის ან საბერძნეთის უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი სახელმწიფო გამოცდების ფარგლებში.

• იყვნენ მიღებული ნებისმიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში კვიპროსზე ან საზღვარგარეთ იმ პირობით, რომ შეასრულებენ ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებაში მიღების მოთხოვნებს და პირობებს.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სეგმენტში მოქმედებს **მომდევნო კლასში** მოსწავლეთა **გადასვლის და მათ მიერ სწავლის დასრულების** იგივე წესები, რაც გაერთიანებულ ლიცეუმში.

პროფესიული სწავლების სისტემა

პროფესიული სწავლების სისტემა უპირველეს ყოვლისა ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ არ გეგმავენ სწავლის გაგრძელებას განათლების ტრადიციული სისტემის სკოლებში. გარდა ამისა, პროფესიული სწავლების სისტემით შეუძლიათ ისარგებლონ მოსწავლეებმა, რომლებმაც დაასრულეს სწავლის ორი წელი გიმნაზიაში და მიაღწიეს 15 წლის ასაკს, ან მათ, ვისაც 15 წელი შეუსრულდებათ იმ წლის 31 დეკემბრამდე, როცა ისინი გადაწყვეტენ ისარგებლონ სწავლის ამ სისტემით სარგებლობის დაწყება. 18 წელზე უფროსი ასაკის აბიტურიენტებს პროფესიული სწავლების სისტემით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და კომპეტენტური ორგანოების ნებართვის მიღების შემდეგ. აბიტურიენტების განაცხადები შეტანა ხდება ტექნიკურ სკოლებში და დასაქმების რაიონულ სამსახურებში.

ამ სისტემით სწავლის კურსი **გრძელდება ორი წლის განმავლობაში**. ის შეიცავს მონაცვლეობით პრაქტიკულ და თეორიულ მიმართულებებს. პრაქტიკას გადიან საწარმოებში, კვირაში სამჯერ, სადაც სტუდენტები მუშაობენ და იღებენ ხელფასს. თეორიას სწავლობენ ტექნიკურ სკოლებში, კვირაში ორჯერ. პროფესიული სწავლების სისტემაში შედის შემდეგი **სპეციალობები**: მშენებელი, ავტომექანიკოსი, ავტოელექტრიკოსი, ლითონის ჩამომსხმელი–მრჩილავი, ალუმინის მწარმოებელი, სანტექნიკოსი–შემდუღებელი, ელექტრიკოსი, ავეჯის ამწყობი და ხურო, მკერავი.

კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები

კვალიფიკაციის ამაღლება ნაკარნახევია ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობით და ტექნოლოგიების მუდმივი განვითარებით. კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს სთავაზობენ **საღამოს ტექნიკურ სკოლებში და დღისა** და **საღამოს მეცადინეობებზე ტექნიკური სკოლების ბაზაზე**.

საღამოს ტექნიკური სკოლები

1999–2000 სასწავლო წლიდან დაწყებული ნიქოზიის ტექნიკური სკოლის ბაზაზე გაიხსნა საღამოს ტექნიკური სკოლა.

საღამოს ტექნიკური სკოლის პროგრამები დღის სწავლების საშუალო ტექნიკური და პროფესიული განათლების პროგრამების ექვივალენტურია. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 1–დან 4 წლამდე, აბიტურიენტების ცოდნის დონის მიხედვით, და უფასოა იმათთვის, ვისაც ამისი უფლება აქვს.

ატესტატი **ექვივალენტურია** იმ ატესტატისა, რომელსაც იღებენ სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ექვსწლიანი სწავლის დასრულების შემდეგ.

დღისა და საღამოს კურსები ტექნიკური სკოლის ბაზაზე

ტექნიკური სკოლების ბაზაზე არსებული დღისა და საღამოს კურსების მიზანია მოსახლეობის მომუშავე ნაწილს ცოდნის მუდმივი განახლების და შრომით ბაზარზე არსებულ კონკურენციაში მონაწილეობის საშუალება მისცეს. გარდა ამისა, ეს სისტემა სთავაზობს მოსამზადებელ კურსებს ტექნიკური სკოლების ყველა საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც სხვადასხვა გამოცდების ჩაბარება სურთ.

ზოგადი მნიშვნელოვანი ცნობები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, და ასევე საშუალო პროფესიულ–ტექნიკური სკოლების მუშაობის შესახებ

განაცხადების შეტანა

განაცხადები შეაქვთ მოსწავლეების მშობლებს ან მეურვეებს იმ სკოლებში, რომლებიც მათი საცხოვრებელი ადგილის რაიონშია განლაგებული, ივნისის განმავლობაში, ასევე სექტემბერშიც მათთვის, ვინც იმ დროისთვის სავალდებულო გამოცდებს ჩაბარებს. საღამოს გიმნაზიებში განაცხადები

მიიღება 1–დან 20 სექტემბრამდე და პირველი ტრიმესტრის ამოწურვამდე (ანუ 10 დეკემბრამდე).

მოსწავლის გადასვლა სხვა სკოლაში

მოსწავლის გადასვლა ერთ ქალაქში ან დასახლებულ პუნქტში განლაგებული სკოლიდან სხვა ადგილზე მდებარე ანალოგიურ სკოლაში გადასვლა ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სკოლა, რომელშიც რეგისტრირებულია მოსწავლე, დაიხურა, ან მისი გახსნა გადაიდო 30 დღეზე მეტი ხნით ეპიდემიის გამო ან რაიმე სხვა სერიოზული მიზეზით;

ბ) თუ სკოლაში არ არსებობს მოსწავლის მიერ არჩეული დისციპლინების ან სპეციალობების ნაკრები;

გ) თუ მოსწავლის ოჯახი, ან მეურვის ოჯახი იცვლის საცხოვრებელ ადგილს;

დ) თუ მოსწავლეს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა სჭირდება;

ე) თუ მოსწავლის მუდმივი საცხოვრებლის რაიონში აშენდა ახალი სკოლა (ამ შემთხვევაში ამ სკოლაში გადაყვანა ხდება განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ შედგენილი სიის საფუძველზე);

ვ) თუ განათლებისა და კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, და შემდეგ სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, არსებობს მიზეზები, რომლებიც მოსწავლის მიერ სკოლის გარემოს შეცვლას მოითხოვენ.

მოსწავლის გადაყვანა იმავე ქალაქის ანალოგიურ სკოლაში ნებადართულია წინა პარაგრაფის ა), ბ), გ), დ), ე) და ვ) შემთხვევებში. მოსწავლე, რომელიც ორჯერ ზედიზედ დარჩა იმავე კლასში, ან გარიცხულია სკოლიდან, გადაიყვანება სხვა სკოლაში და მას ჩამოერთმევა უფლება გადავიდეს სხვა სკოლაში.

უცხოური სკოლებიდან მოსწავლეთა გადაყვანისთვის მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) თუ მოსწავლე წარმოადგენს მოწმობას ნიშნებითა და კომენტარებით მისი აკადემიური მოსწრების შესახებ, ის განაწილდება მომდევნო კლასში იმ პირობით, რომ ჩააბარებს გამოცდებს თანამედროვე ბერძნული ენისა და ისტორიის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით;

ბ) თუ მოსწავლე წარმოადგენს მოწმობას, მაგრამ აქვს დაბალი მოსწრება ზოგიერთ დისციპლინაში, ის აბარებს გამოცდებს ცოდნის დონის შემოწმების მიზნით როგორც იმ დისციპლინებში, რომელშიც დაბალი მოსწრება აქვს, ასევე თანამედროვე ბერძნულ ენასა და ისტორიაში;

გ) თუ მოსწავლე წარმოადგენს მოწმობას, მაგრამ რჩება მეორე წლით, მან თავიდან უნდა შეისწავლოს აღნიშნული დისციპლინები (გაიმეოროს წელი);

დ) თუ მოსწავლე მოწმობის ნაცვლად წარმოადგენს უბრალო ცნობას სწავლის შესახებ მისი აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემების მითითების გარეშე, ის ნაწილდება შემდეგ კლასში მხოლოდ ყველა დისციპლინაში მისი ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით გამოცდების ჩაბარების შემდეგ, გარდა რელიგიათმცოდნეობის, ფიზიკური აღზრდის, მუსიკის, ხელოვნების, შრომის და პრაქტიკული უნარებისა;

ე) მოსწავლის ცოდნის დონის შემოწმების მიზნით ჩატარებულ გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომელ კლასში უნდა განაწილდეს აღნიშნული მოსწავლე.

აკრძალულია მოსწავლის გადაყვანა საღამოს გიმნაზიიდან დღის სწავლების ფორმის გიმნაზიაში. დღის სწავლების ფორმის გიმნაზიიდან საღამოს გიმნაზიაში გადაყვანა ნებადართულია გამონაკლის შემთხვევებში მხოლოდ განათლებისა და კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით.

სასწავლო წლის დაწყება და დამთავრება

• სასწავლო წელი იწყება ყოველი წლის 1 სექტემბერს და მთავრდება მომავალი წლის 31 აგვისტოს.

• სკოლა მუშაობას იწყებს 1 სექტემბერს და ამთავრებს 30 ივნისს.

• მეცადინეობები იწყება სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში (ზუსტ თარიღს განსაზღვრავს განათლების მინისტრი) და მთავრდება გიმნაზიის კლასებისთვის ივნისის პირველი 7 დღის განმავლობაში მაშინ, როდესაც ლიცეუმის კლასებისთვის – მაისის ბოლო ათი დღის განმავლობაში (ზუსტ თარიღს განსაზღვრავს განათლების მინისტრი).

დიდაქტიკური მასალის განაწილების და მოსწავლეთა შეფასების მოხერხებულობისთვის ყოველი სასწავლო წელი იყოფა სამ ტრიმესტრად შემდეგი სახით:

1–ლი: მეცადინეობების დასაწყისი – 10 დეკემბერი.

მე–2: 11 დეკემბერი – 10 მარტი.

მე–3: 11 მარტი – სასწავლო წლის დასასრული.

არასასწავლო სასკოლო დღეები

არასასწავლო სასკოლო დღეებ მიეკუთვნება:

ა) ყველა სახელმწიფო სადღესასწაულო დასვენების დღე: 1 ოქტომბერი (კვიპროსის დამოუკიდებლობის დღე), 28 ოქტომბერი, სუფთა ორშაბათი,

25 მარტი, 1 აპრილი და 1 მაისი (შრომის დღე).

ბ) საშობაო დღესასწაულები (24 დეკემბრიდან 6 იანვრამდე ამ ორი დღის ჩათვლით).

გ) შემდეგი რელიგიური დღესასწაულები: ყოველი არქიეპისკოპოსის სახელობის დღეობა, სამი ეპისკოპოსის სახელობის დღეობა, სული წმიდის ორშაბათი, მოციქულ ბარნაბას სახელობის დღეობა (11 ივნისი).

სკოლის საზაფხულო არდადეგები იწყება ყოველი წლის 1 ივლისს და სრულდება 31 აგვისტოს.

სასკოლო დღესასწაულები

სასკოლო დღესასწაულებს განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილი დღესასწაულები:

ა) რეგულარული სასკოლო მეცადინეობების დაწყება და კურთხევა;

ბ) კვიპროსის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1 ოქტომბერი) 30 სექტემბრიდან;

გ) დღესასწაული 28 ოქტომბერს 27 ოქტომბრიდან;

დ) საინჟინრო პროექტირების და არქიტექტურის სკოლის იუბილე 17 ნოემბერი;

ე) საშობაო დღესასწაული 23 დეკემბერს;

ვ) განათლების დღე 30 იანვარს;

ზ) 25 მარტის იუბილე (24 მარტიდან);

თ) 1 აპრილის იუბილე 31 მარტიდან;

ზემოაღნიშნული დღესასწაულების აღნიშვნას ეთმობა ორ სასწავლო მეცადინეობამდე, 23 დეკემბრის გარდა, როდესაც დღესასწაულს ორზე მეტი მეცადინეობა შეიძლება დაეთმოს. არავითარ შემთხვევაში სასკოლო დღესასწაულები და სხვა ღონისძიებები არ უნდა გამოხატავდნენ პარტიების, ასოციაციების და ორგანიზაციების ინტერესებს.

რომელიმე სხვა მოვლენის ან ღონისძიების სადღესასწაულო აღნიშვნისთვის აუცილებელიღა განათლებისა და კულტურის მინისტრის ნებართვის მიღება.

მოსწავლეთა მოვალეობები

• მოსწავლე ასრულებს თავის სასწავლო მოვალეობებს, რომლებიც ნაკარნახევია სკოლის შიგნით დადგენილი წესებით.

• მოსწავლე ნებაყოფლობით იღებს მონაწილეობას არასასკოლო

ღონისძიებებში (სკოლის გუნდი, სპორტული შეჯიბრებები, თეატრი და ა.შ.).

• მოსწავლე მონაწილეობს ყველა სასკოლო ღონისძიებაში, სასკოლო ექსკურსიების და ეკლესიებში მასობრივი გასვლის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლის დირექტორის სპეციალური განკარგულებით დადგენილია სხვა რამ.

• მოსწავლე ყოველდღიურად დადის სკოლაში სპეციალურ ფორმაში და თავს არიდებს ზედმეტობებს გარეგნულ იერში. ტანვარჯიშისა და საწარმოში მეცადინეობების დროს მოსწავლე იცავს სკოლის ინსტრუქციებს ტანსაცმლის სპეციალური ფორმის თაობაზე.

•მოსწავლის გარეგნული იერი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მის სტატუსს. ამიტომ მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი წესები, რომლებიც განსაზღვრულია განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ. გარეგნულ იერში დაუშვებელია ზედმეტობები, ამ წესის დარღვევის ყოველი შემთხვევა განიხილება სკოლის დირექტორის მიერ. ზედმეტობებში იგულისხმება ძალიან გრძელი თმა, ბეჭდები, სამაჯურები, დეკორატიული გულსაკიდები და სხვა მსგავსი აქსესუარები, ასევე წვერი ნებისმიერი გამოვლინებით. გარდა იმისა, რაც ეხება ზედმეტობებს გოგონების გარეგნულ იერში, ზედმეტობად ითვლება ასევე ძალიან გრძელი შეღებილი ფრჩხილები, შეღებილი თმა, ძალიან ფუმფულა ვარცხნილობა, ასევე მკვეთრი მაკიაჟი.

• მეცადინეობებს დროებით ჩამოშორებული მოსწავლე (რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება მის მშობლებს ან მეურვეს) იმყოფება სკოლაში მისი მუშაობის მთელი დროის მანძილზე და დაკავებულია სკოლის დირექტორის ან სხვა კომპეტენტური პირის განკარგულებით მიცემული საქმით.

• მოსწავლის არგამოცხადება მეცადინეობებზე დასაბუთებული უნდა იქნას სამედიცინო ცნობით, ან მისი მეურვის სპეციალური წერილობითი განმარტებით, რომელიც სკოლის დირექტორს დააკმაყოფილებს, ცნობა ან განმარტება წარედგინება სკოლის დირექტორს, როგორც კი მოსწავლე განაახლებს მეცადინეობებზე სიარულს და არა უგვიანეს 8 დღისა მეცადინეობების განახლებიდან.

• მოსწავლე, რომელმაც გააცდინა მეცადინეობა რაიმე მიზეზით, ვალდებულია გაიაროს განვლილი მასალა და მოამზადოს საშინაო დავალება გაცდენილი მეცადინეობების მთელი პერიოდისთვის.

• ნამუშევარი იმ მოსწავლისა, რომელიც წერით გამოცდაზე შემჩნეული იქნა გადაწერაში, ფასდება 1 (ერთი) ქულით. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია, ის მასალები, საიდანაც იწერდა მოსწავლე, მიემაგრება მის წერით ნამუშევარს. გამოცდაზე დამსწრე მასწავლებელი აუცილებელი წესით ადგენს წერილობით შენიშვნას და მიამაგრებს მას მოსწავლის ნამუშევარზე. ანალოგიური ზომები მიიღება იმ მოსწავლეების მიმართაც, რომლებმაც ხელი შეუწყეს სხვა მოსწავლის მიერ გადაწერას გამოცდის

დროს. ასეთი დარღვევა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ასევე ვარაუდობს დისციპლინარული ზომების მიღებას.

• მოსწავლეებს ეკრძალებათ მობილური ტელეფონის ან სხვა ტექნოლოგიური საშუალების ჩართვა და გამოყენება კლასში მეცადინეობების დროს, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების და კრებების დროს, რომლებიც სკოლის შიგნით ტარდება.

• მოსწავლეებს ეკრძალებათ მოწევა სკოლის ტერიტორიაზე.

ტრადიციული სწავლა. მეცადინეობების გაცდენა.

მეცადინეობების გაცდენა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორც სკოლისთვის, ასევე თვით მოსწავლეებისთვის და მათი სწავლებისთვის. ამიტომ ყველამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

საგამოცდო საგნებში და ასევე ყველა საგანში გამოცდების ჩაბარება გადაიტანება სექტემბრისთვის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც 42–დან 50 მეცადინეობამდე გააცდინეს არასაპატიო მიზეზით;

ბ) იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც 152–დან 160 მეცადინეობამდე გააცდინეს, რომელთაგანაც 110 გააცდინეს არასაპატიო მიზეზით;

გ) განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებში გამოცდები შეიძლება გადატანილი იყოს სექტემბრისთვის იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც გააცდინეს არა უმეტეს 275 მეცადინეობისა, რომელთაგანაც 50 გაცდენილია არასაპატიო მიზეზით, მაგრამ მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამყარებულია განათლებისა და კულტურის სამინისტროს ნებართვით;

დ) მოსწავლეები, რომელთა გაცდენების საერთო რაოდენობა ერთ ან მეტ საგანში (საპატიო მიზეზის არსებობის მიუხედავად) შეადგენს ამ საგანში ყოველკვირეული მეცადინეობების რაოდენობის შვიდჯერად რიცხვზე მეტს, ვალდებულნი არიან გადაიტანონ გამოცდის ჩაბარება ამ საგანში/საგნებში სექტემბრისთვის;

ე) იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც მესამე ტრიმესტრში გააცდინეს 14–დან 17 მეცადინეობამდე (ჩათვლით), ან გაცდენების საერთო რაოდენობა შეადგენს 51–დან 54–მდე, რომელთაგან 37 გაცდენა მოხდა არასაპატიო მიზეზით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორე წლით რჩებიან:

ა) მოსწავლეები, რომელთაც დააგროვეს არასაპატიო მიზეზით 51–ზე მეტი გაცდენა;

ბ) მოსწავლეები, რომელთაც დააგროვეს 161–ზე მეტი გაცდენა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც მითითებულია წინა პარაგრაფში;

გ) მოსწავლეები, რომლებსაც მესამე ტრიმესტრში 17–ზე მეტი გაცდენა აქვთ არასაპატიო მიზეზით, ან 54–ზე მეტი გაცდენა საპატიო მიზეზით ან მის გარეშე.

ივარაუდება, რომ არ გაუშვეს სკოლიდან ცუდი მოსწრების გამო, ვალდებულია გაიაროს სწავლის ბოლო წლის ყველა საგანი უკვე მომავალ წელს.

გაცდენად ითვლება თუნდაც ერთი სასწავლო მეცადინეობის გაცდენა. მოსწავლე, რომელიც არ ესწრებოდა თუნდაც ერთ სასწავლო მეცადინეობას დღის განმავლობაში, ვალდებულია სკოლაში გამოცხადებისას, და არა უგვიანეს 8 დღისა, წარმოადგინოს წერილობითი განმარტება მშობლებისგან ან მეურვისგან, ან მკურნალი ექიმის ცნობა მეცადინეობის გაცდენის დასაბუთებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საამისოდ მიღებული იქნა სკოლის დირექტორის წერილობითი ნებართვა.

მოსწავლის მშობლების ან მეურვეების წერილობითი განმარტება არ ითვლება საკმარის საფუძვლად, თუ მოსწავლემ გააცდინა მეცადინეობები ზედიზედ 2 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, და არ უნდა აღემატებოდეს ასეთი დღეების რაოდენობა 12 დღეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს არ მოითხოვოს წერილობითი განმარტება, თუ საბჭოს უკვე ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი აზრი მოსწავლის ავადმყოფობის ტყუილი ბუნების შესახებ, ან არ თვლის საკმარის დასაბუთებად ბავშვის არგამოცხადების რაიმე სხვა მიზეზებს.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობენ სპეციალურ სასკოლო გასვლებში, განათლებისა და კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, ან რომლებიც მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში სკოლის დირექტორატის ნებართვით, მეცადინეობაზე არგამოცხადება არ ეთვლება გაცდენად.

მეცადინეობების დაუსაბუთებელი გაცდენები იწვევს დისციპლინარული ზომების მიღების აუცილებლობას. მოსწავლეთა მიერ მეცადინეობებზე არარეგულარული დასწრებისა და დიდი რაოდენობით გაცდენების თაობაზე დროულად ეცნობება მშობლებსა და მეურვეებს.

სკოლის ტერიტორიის ფარგლებს მიღმა გასვლის ნებართვა

მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვება სასწავლო მეცადინეობების დროს სკოლის დირექტორის ნებართვის გარეშე, რაიმე მიზეზით ითვლება **სერიოზულ დარღვევად**, რომელიც იწვევს მკაცრი დისციპლინარული ზომების მიღებას. თუ არსებობს სერიოზული მიზეზი, რის გამოც მოსწავლემ უნდა დატოვოს სკოლა, მას გადაეცემა პასუხისმგებელი პირის წერილობითი ნებართვა და მხოლოდ მის მშობლებთან ან მეურვეებთან საუბრის შემდეგ.

მოსწავლეთა ყოფაქცევა

• მოსწავლეთა ყოფაქცევას ყოველი ტრიმესტრის ბოლოს აფასებს პედაგოგიური საბჭო, როგორც სანიმუშო, სამაგალითო, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი. ქცევისთვის რაიმე გარკვეული ნიშანი არ იწერება. მოსწავლეთა ყოფაქცევის გაუარესების შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ადგენენ შენიშვნებს მოსწავლის ყოფაქცევის მიზეზების მითითებით.

• მოსწავლის ფსიქოლოგიური პრობლემების ან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში სკოლის დირექტორატი ამის თაობაზე ამცნობს სკოლის კომპეტენტურ ფსიქოლოგს, რომელიც ამზადებს წერილობით მოხსენებას და წარუდგენს მას პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

• მოსწავლის მოსწრების თაობაზე ცნობებსა და მოხსენებებში ხასიათდება მოსწავლის ყოფაქცევაც, მაშინ როდესაც გამოსაშვებ ატესტატში არ ხდება მონაცემების მითითება ყოფაქცევის თაობაზე.

• მოსწავლეს, რომლის ყოფაქცევაც ხასიათდება, როგორც დამაკმაყოფილებელი ან ცუდი, უფლება აქვს განაგრძოს სწავლა მოცემულ სკოლაში, იმ შემთხვევების გარდა, თუ პედაგოგიური საბჭო ჩათვლის, რომ მოსწავლეს ესაჭიროება გარემოს შეცვლა, სკოლის ფსიქოლოგის აზრის გათვალისწინებით.

აღმზრდელობითი ზომები

სასკოლო დაწესებულებების მუშაობის ახალი წესების საფუძველზე, აღმზრდელობითი ზომები ძირითად მიზნად ისახავენ დაეხმარონ მოსწავლეს თავისი შეცდომების აღიარებაში, მათ გაანალიზებასა და ყოფაქცევის გაუმჯობესებაში.

დისციპლინარული საბჭო

ყოველ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოქმედებს დისციპლინარული საბჭო, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი ან კათედრის გამგის მოადგილის წარმომადგენელი, მოსწავლეთა ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელი და კათედრის საბჭოს ხელმძღვანელი. ორ პედაგოგს ნიშნავს პედაგოგიური საბჭო ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

დისციპლინარული საბჭო განიხილავს სერიოზულ დარღვევებს და ნაკლოვანებებს, რომლებიც განიხილება საბჭოს მიერ თხუთმეტი დღის განმავლობაში ან არაუგვიანეს ოცდაათი სამუშაო დღისა დარღვევის სერიოზულობის ხარისხის მიხედვით. დისციპლინარულ საბჭოში მოსწავლის გაგზავნის შემთხვევაში მას შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს ფაქტები და თავისი არგუმენტები. გარდა ამისა, შეტყობინება ეგზავნება მის მშობლებს, რომელთაც ასევე ეძლევათ საშუალება გამოხატონ თავისი აზრი პრობლემასთან მიმართებაში დისციპლინარული საბჭოს წინაშე.

საბჭოს მეთაურს დისციპლინარული ზომების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, თუკი საბჭოს წევრებიდან ერთერთი მაინც, ან მოსწავლის მშობელი/მეურვე გამოხატავს სურვილს, შეუძლია მიიღოს შესაბამისი დახასიათება საკონსულტაციო და პროფესიული აღზრდის პედაგოგისგან, სკოლის ფსიქოლოგის ან სხვა სპეციალისტისგან.

დახმარება და მხარდაჭერა კერძო ხასიათის საკითხებში

თუ მოსწავლეს რაიმე სახის პრობლემა შეექმნა, და გრძნობს ვინმესთან ამ პრობლემის გაზიარების აუცილებლობას, მას შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს კათედრის მთავარ პედაგოგს, დირექტორის თანაშემწეს, სკოლის საბჭოს ან თვით სკოლის დირექტორს.

კერძო ხასიათის ყველა სახის (ოჯახური, შინაგანი განცდების, ეკონომიკური, სასკოლო) პრობლემის მოგვარებისთვის მოსწავლეებისთვის რეკომენდებულია დახმარებისთვის მიმართონ საკონსულტაციო და პროფესიული აღზრდის სამსახურს, რომელსაც საკმარისი კომპეტენცია გააჩნია საიმისოდ, რომ იპოვოს საჭირო გამოსავალი ამ სახის პრობლემების მოსაგვარებლად. ეს სამსახური ასეთ პრობლემებს განიხილავს მკაცრად კონფიდენციალურად და გამოიმუშავებს რჩევებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია იაზე, რომ დაეხმარონ მოსწავლეს მისი ინტერესების გათვალისწინებით.

კათედრაზე წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების პროცედურა

კათედრასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად:

• მოსწავლე/მოსწავლეები მიმართავენ კათედრის საბჭოს. საბჭო შეისწავლის პრობლემას, თუ ის ეხება მთლიანად კათედრას, და შემდეგ ეცნობება კათედრის მთავარ პედაგოგს.

• მთავარი პედაგოგი განიხილავს პრობლემას საბჭოსთან ან კათედრის ყველა წევრთან ერთად და გამოტანილი გადაწყვეტილებების და საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ეძებს პრობლემასთან მიდგომას.

• თუ პრობლემის არსი დირექტორატის ჩარევას საჭიროებს, მთავარი პედაგოგი მიმართავს კათედრის გამგის თანაშემწეს, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებს დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

• თუ კათედრის გამგის თანაშემწე საჭიროდ ჩათვლის ან თუ ამას მოითხოვენ პრობლემაში ჩართული ადამიანები, პრობლემის შესახებ აცნობებს სკოლის დირექტორს.

• პირადი და დელიკატური თემები შესწავლილი უნდა იქნას საკონსულტაციო და პროფესიული აღზრდის სამსახურთან თანამშრომლობით, მკაცრი კონფიდენციალობის დაცვით, ყოველთვის ჩართული პირის ინტერესების

გათვალისწინებით და პატივისცემის გამოხატვით მი მოსწავლის/ მოსწავლეების მიმართ, რომლებსაც პირადი ხასიათის პრობლემა აწუხებს.

მოსწავლეთა მეურვეები

• თან ახლავან მოსწავლეებს სკოლაში შესასვლელად განაცხადის შეტანისას და თავისი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სკოლის წინაშე კისრულობენ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს მათი სტატუსიდან.

• მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი მოსწავლეების სწავლის პროცესში გამოავლენენ დიდ ინტერესს მოსწავლეთა ცხოვრების მიმართ, თვალყურს ადევნებენ, რომ მოსწავლეები რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში, აკვირდებიან მათ ყოფაქცევასა და საერთო განვითარებას. საეჭვო ცვლილებების შემჩნევის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობებენ დირექტორს იმის გამო, რომ სკოლისა და სახლის ურთიერთქმედებამ სასიკეთოდ იმოქმედოს მოსწავლეთა განვითარებასა და წარმატებებზე.

• აკვირდებიან მოსწავლეთა მიერ სკოლის წესებისა და მითითებების შესრულებას.

• მიწვევის მიღების შემდეგ მიდიან სკოლაში პედაგოგიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ ჩადენილი დარღვევების ანალიზისთვის, მათგან საჭირო განმარტებების მიცემისთვის.

• ყურადღებას აქცევენ მოსწავლეების მიერ სკოლის წინაშე ფინანსური

და სხვა ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია კომპეტენტური ორგანოების წესებითა და გადაწყვეტილებებით.

• წერილობითი ფორმით დროულად აცნობებენ სკოლის დირექტორს მოსწავლის მიერ მეცადინეობების გაცდენის თაობაზე.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები

სულ კვიპროსზე მუშაობს 40 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, 22 მათგანი განთავსებულია სასოფლო ცენტრებში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე, და 18 – ქალაქებში.

ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვისაც წარმოდგენილია დისციპლინების ფართო არჩევანი, მათ

შორის: ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული ენები, ბერძნული ენა უცხოელებისთვის, თურქული ენა, საბუღალტრო აღრიცხვა, ინფორმატიკა, საბერძნეთის უნივერსიტეტებსა და კვიპროსის უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად მოსამზადებელი მეცადინეობები, ინტენსიური მეცადინეობები გიმნაზიისა და ლიცეუმის პროგრამების მიხედვით.

წარმოებს თურქული ენის სწავლება თურქი–კვიპროსელებისთვის და ბერძნული ენის სწავლება პოლიტიკური ლტოლვილებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებენ ინტენსიურ მეცადინეობებს ანკლავების მოსახლეობისთვის.

გამოცდები

მოსწავლეები, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში დადიან, აბარებენ ერთიან გამოცდებს განათლების შესახებ ატესტატის მისაღებად. ეს ატესტატი ინგლისური ენის ცოდნის მეოთხე და მეხუთე დონით, ასევე ფრანგული და გერმანული ენის ცოდნის მეოთხე დონით აღიარებულია განათლების სახელმწიფო სამსახურის და განათლების კომიტეტის მიერ, როგორც ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენის „მისაღები ცოდნის“ მოწმობა. ატესტატი ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენის მეშვიდე და მერვე დონით აღიარებულია განათლების სახელმწიფო სამსახურის და განათლების კომიტეტის მიერ, როგორც ზემოაღნიშნული ენების „ფრიადზე ცოდნის“ მოწმობა.

ხდება მოსწავლეების დამატებით მომზადება შემდგომი გამოცდებისთვის საზღვარგარეთ უცხო ენებში, საბუღალტრო აღრიცხვასა და ინფორმატიკაში:

GCE – საერთო მოწმობა განათლების შესახებ (სიმწიფის ატესტატი), დონე „A“ და „O“.

F.C.E. - კემბრიჯის გამოცდა ინგლისური ენის მოწმობის მისაღებად.

DELF – გამოცდა სპეციალობაში (ფრანგულ ენაში).

L.C.C.I. – ლონდონის სავაჭრო–სამრეწველო პალატის საკვალიფიკაციო გამოცდები (საბუღალტრო აღრიცხვა).

E.C.D.L. – ევროპული კომპიუტერული უფლება (გამოცდა ინფორმატიკაში).

განაცხადების შეტანა

განაცხადების შეტანა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება მაისში და გრძელდება სექტემბრის პირველი 10 დღის განმავლობაში. წესების თანახმად, თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს

10–15 ადამიანს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მუშაობა მოსწავლეთა უფრო მცირე ჯგუფებთანაც.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები მუშაობენ ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 15.00–დან 18.00 საათამდე. უფროსების ჯგუფები სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობენ საღამოს საათებში, 18.30–დან 20.00 საათამდე. ცალკეულ შემთხვევებში მეცადინეობები ტარდება ოთხშაბათს დღის საათებში, და შაბათს დილის საათებში.

ყოველი ჯგუფი ატარებს მეცადინეობებს კვირაში 2–ჯერ თითოეული 90 წუთის ხანგრძლივობით.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახური

ისტორიული ცნობა

პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახური – ეს არის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული დამოუკიდებელი სამსახური, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს პირდაპირ განათლების გამგეს აბარებს. სამსახური დაყოფილია კომიტეტებად, და პედაგოგი–ფსიქოლოგის მომსახურეობის გაწევა ხდება განათლების ყველა დონეზე, ანუ სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების დონეზე.

მისია და მიზნები

პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახურის **მისია** მდგომარეობს ყველა მოსწავლის ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში, სწავლის პროცესის გაიოლებასა და თითოეული იმ ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაში, რომლებსაც კავშირი აქვთ ჩვენი განათლების სისტემასთან. პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახურის მიზანია განათლების სისტემაში ფსიქოლოგიის საფუძვლების დანერგვა. ამგვარად, ეს სამსახური მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების ინსტიტუტის ხარისხობრივ დემოკრატიზაციას ყველა მოსწავლის მიერ სწავლის პროცესში მრავალფეროვნებისა და წარმატების მიღებისა და პატივისცემის ფონზე.

პედაგოგი–ფსიქოლოგების როლი

პედაგოგი–ფსიქოლოგები მუშაობენ საგანმანათლებლო სისტემაში და სკოლის პედაგოგებს თავის უფროს კოლეგებად მიიჩნევენ. პედაგოგი–ფსიქოლოგები განიხილავენ იმ შემთხვევებს, რომლებზეც შეტყობინება შედის პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახურში და დაკავებულნი არიან პრობლემების ფართო სპექტრის გადაწყვეტით. ფსიქოლოგები აანალიზებენ და დახმარებას უწევენ ბავშვებს, რომლებსაც მოუწიათ შეჯახება:

- სირთულეებთან სწავლაში;
- განსაკუთრებულ საჭიროებებთან;
- სულიერ პრობლემებთან და ყოფაქცევის პრობლემებთან.

თითოეული ცალკეული შემთხვევის ფარგლებში პედაგოგი–ფსიქოლოგები თამაშობენ დამრიგებლისა და მრჩევლის როლს მშობლებისთვის, მოსწავლეთათვის და მათი პედაგოგებისთვის. ამასთან ერთად, ფსიქოლოგები თანამშრომლობენ სხვა სპეციალისტებთან და ორგანოებთან იმ შემთხვევებთან მიმართებაში, რომლებითაც ისინი არიან დაკავებულნი.

კომიტეტები

პედაგოგი–ფსიქოლოგების საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი კომიტეტის: ინდივიდუალური შემთხვევების განმხილველი კომიტეტის და პროგრამების, დაკვირვებისა და ანალიზის კომიტეტის ფარგლებში. ინდივიდუალური საქმეების განხილვა – ეს ის საქმიანობაა, რომელსაც ფსიქოლოგები თავიანთი სამუშაო დროის დიდ ნაწილს უთმობენ.

სამსახურს შესაძლოა მიმართონ **მშობლებმა/მეურვეებმა, მასწავლებლებმა, ასევე სპეციალური აღზრდისა და განათლების რეგიონალურმა სამსახურმა** შეფასებისთვის, დიაგნოსტიკისთვის, ფსიქოლოგიური დახმარებისა და მხარდაჭერისთვის იმ მთელი რიგი სირთულეების გადაწყვეტისას, რომლებიც შესაძლოა თან ახლდეს მოსწავლეებს სკოლაში.

ყოველ მშობელს პირდაპირ შეუძლია მიმართოს სამსახურს, და შესაბამისი განაცხადის შეტანით, ითხოვოს პედაგოგი–ფსიქოლოგის დახმარება. ამასთან ერთად, ყოველ მშობელს შეუძლია სთხოვოს სკოლას გადაგზავნოს თავისი შვილის შემთხვევა ამ სამსახურში განსახილველად, გარკვეული პროცედურის გავლით, რომელიც ყველა სკოლისთვისაა ცნობილი. მნიშვნელოვნად ითვლება, რომ ფსიქოლოგთან განსახილველად საქმე გადაგზავნილი იქნას სკოლის მეშვეობით, რადგან სკოლის ჩართვა უმეტეს შემთხვევებში აუცილებელია, და პედაგოგი–ფსიქოლოგის მომსახურეობის გაწევა ხდება საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში.

შემთხვევები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, გადაიგზავნება აღნიშნულ სამსახურში განსაკუთრებული აღზრდისა და განათლების ადგილობრივი რეგიონალური კომიტეტების მეშვეობით. **საკითხის განხილვაში პედაგოგი–ფსიქოლოგის ჩართვის მიზნით აუცილებელია მშობლის ან მეურვის წინასწარი თანხმობა.**

პროგრამების, დაკვირვებისა და ანალიზის კომიტეტი

პროფილაქტიკის სტრატეგიის ფარგლებში პედაგოგი–ფსიქოლოგები თავისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს უთმობენ პროფილაქტიკური პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებას სკოლაში, რომლებიც ეძღვნება შემდეგ პრობლემებს:

• ძალადობა და მოსწავლეთა მიერ სკოლის წესების დარღვევა;

• სირთულეები სწავლაში და უმეცრება;

• კანონიერი და უკანონო ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც იწვევენ დამოკიდებულებას მათზე;

• სწავლაში სირთულეების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა;

• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჩართვა და მათი აქტიური მონაწილეობა ყველა სასკოლო ღონისძიებაში;

• ბავშვების ფსიქოლოგიური და სოციალური აღზრდა;

• განათლების ხარისხობრივი დემოკრატიზაცია და სქესის, წარმოშობის და სასკოლო სისტემის ფარგლებში ყოველი ადამიანის თავისებურებების საფუძველზე დისკრიმინაციის გამოვლენის ყველა ფორმასთან ბრძოლა;

• ბრძოლა უსამართლო მოპყრობასთან და დადებითი განაწილების მცნების დანერგვა „აღზრდის პრიორიტეტული ზონების“ კონცეფციის მეშვეობით.

ამასთან ერთად, პედაგოგი–ფსიქოლოგები აქტიურად ავითარებენ შემდგომი განათლების, აღქმის ამაღლებისა და ჩამოყალიბების საკითხების პროგრამებს. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პედაგოგების შემდგომ აღზრდაში პედაგოგიური ფსიქოლოგიის, აღქმის ამაღლების (საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჩართვა, სწავლის სირთულეები, სულიერი პრობლემები) საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მშობლების აღზრდასა და მათთვის შეტყობინებების მიწოდებაში, და ზოგადად, სკოლასა და საზოგადოებაში ფსიქოლოგიის საფუძვლების დანერგვაში.

სამსახურის სტრუქტურა

დღესდღეობით პედაგოგიური სამსახურის სტრუქტურაში მუშაობს სამი რეგიონალური განყოფილება ნიქოზიაში, ლიმასოლსა და ლარნაკაში. ამასთან ერთად, საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების დაკმაყოფილების და ხარისხიანი დახმარების აღმოჩენის მიზნით, განყოფილებები გახსნილია პათოსსა და ფამაგუსტაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია
მისამართი:
პედაგოგიური ფსიქოლოგიის სამსახური
კიმონოსისა და ტუკიდიდუს ქუჩების კუთხეში
აკროპოლისი, 1434 ნიქოზია
საკონტაქტო ტელეფონები/ფაქსები
ნიქოზიის რეგიონალური განყოფილება
ტელ: 22800806
ფაქსი: 22800863

ლარნაკას/ფამაგუსტას რეგიონალური განყოფილება

ტელ: 24821363

ფაქსი: 24813274

ლიმასოლის/პათოსის რეგიონალური განყოფილება

ტელ: 25822850

ფაქსი: 25305503

პროფესიული აღზრდის საკითხებში კონსულტაციის სამსახური

პროფესიული აღზრდის საკითხებში კონსულტაციის სამსახური (პ.ა.ს.კ.ს.) იმყოფება განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული საშუალო განათლების სამმართველოს მმართველობის ქვეშ. სამსახურის მთავარი მიზანია პირადი და საზოგადოებრივი განვითარება, ასევე მოსწავლეებისა და სხვა პირების საგანმანათლებლო და პროფესიული ზრდა.

პ.ა.ს.კ.ს. კონსულტატიურ მომსახურებას აწარმოებს სპეციალური განყოფილებების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური განათლების სასკოლო დაწესებულებებში, ხოლო სამსახურის ცენტრალური განყოფილება განთავსებულია განათლებისა და კულტურის სამინისტროში.

ყოველი ადამიანის თავისებურებების, მისი შესაძლებლობებისა და თავისუფლების არჩევანის გათვალისწინებით, პ.ა.ს.კ.ს. აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს და სხვა ახალგაზრდებს:

ა) ეტაპობრივად შეიცნონ და მიიღონ საკუთარი თავი და ჩამოიყალიბონ ჯანმრთელი ცხოვრებისეული პოზიციები;

ბ) განივითარონ დადებითი შეხედულება საკუთარ „მე"–ზე და აითვისონ ცხოვრებაში პირადი, ოჯახური და სოციალური პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის შესაბამისი უნარები;

გ) შეეგუონ სკოლის გარემოს საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროში წარმატებული განვითარების მიზნით;

დ) განივითარონ აუცილებელი უნარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ სწავლის და პირადი/პროფესიული ცხოვრების პრობლემებზე რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღონ;

ე) შეამჩნიონ საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები, უნარები და მიდრეკილებები, გაეცნონ სხვადასხვა პროფესიების ბუნებას და მოთხოვნებს, ასევე თანამედროვე სოციალურ–ეკონომიკურ და კულტურულ მიღწევებს და მათ გავლენას შრომის საშინაო და საერთაშორისო ბაზარზე, რათა შეეძლოთ რაციონალური გადაწყვეტილების მიღება.

პ.ა.ს.კ.ს.–ის როლი სკოლებში

პროფესიული აღზრდის საკითხებში კონსულტაციების სამსახური (პ.ა.ს.კ.ს.) გიმნაზიებში

დღესდღეობით ყველა გიმნაზიაშია გახსნილი პ.ა.ს.კ.ს.–ის წარმომადგენლობა, რომელშიც პ.ა.ს.კ.ს.–ის პედაგოგი ახდენს მოსწავლეთა, მშობლების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელი პირების მიღებას პირად, აღმზრდელობით ან/და პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით დახმარების აღმოსაჩენად. პ.ა.ს.კ.ს.–ის მუშაობის წინამდებარე მოთხოვნების შესაბამისად, პ.ა.ს.კ.ს.–ის პედაგოგები თავიანთ მომსახურეობას წარმოადგენენ ერთ ან რამდენიმე სკოლაში.

კონსულტანტი გიმნაზიაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მოსწავლეებს პირადი, საოჯახო და აღმზრდელობითი პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებთანაც მათ უწევთ შეჯახება. დამატებით, პირველი ტრიმესტრის განმავლობაში ისწავლება საგანი **„პროფესიული და საზოგადოებრივი აღზრდა“. პროფესიული აღზრდის** მიზანია – ყოველი კონკრეტული ადამიანის მიერ პროფესიის არჩევისას შესაფერისი გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი უნარების შეძენა.

საზოგადოებრივი აღზრდის მიზანია – მოსწავლეების უზრუნველყოფა ყველა აუცილებელი საშუალებებით სირთულეების გადასალახავად და ცხოვრებისეული პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე დახმარება ისეთი მექანიზმების განვითარებაში, რომლებითაც წინ აღუდგებიან დამოკიდებულების საშუალებებს და თანამედროვე საზოგადოების სხვა საფრთხეებს.

პ.ა.ს.კ.ს. გაერთიანებულ ლიცეუმებში/ტექნიკურ სკოლებში

ლიცეუმებში/ტექნიკურ სკოლებში კონსულტანტების მისია იგივეა, რაც გიმნაზიაში. ყოველ გაერთიანებულ ლიცეუმში და ტექნიკურ სკოლაში შესაძლებელია სპეციალიზირებული დახმარების მიღება საკონსულტაციო დახმარების ფარგლებში, მოსწავლის აღმზრდელობით/პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის მიღება კვიპროსის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მიღების თაობაზე, სხვადასხვა პროფესიების არსის შესახებ, შრომის საშინაო, ევროპულ და საერთაშორისო ბაზარზე სიტუაციის შესახებ და ა.შ.

გაერთიანებული ლიცეუმის მოსწავლეებისთვის (სწავლის პირველი წელი), ასევე ყველა სხვა კლასის მოსწავლეებისთვის, რომელთაც ეს ესაჭიროებათ, კონსულტანტი დამატებით ატარებს პროფესიული ორიენტაციის შემოწმებას – „პროფესიის კარიბჭე“. ეს შემოწმება ელექტრონულ ვარიანტში – ეს არის თანამედროვე ტესტი ბერძნულ ენაზე პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით, რომელიც იკვლევს

ადამიანის პიროვნებას, შესაძლებლობებს, უპირატესობებს, და ინტერესებს, და მიღებული მონაცემების საფუძველზე აყალიბებს პროფესიებისა და მეცნიერებების ჩამონათვალს, რომლებიც მას მიესადაგება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ამ ტესტის მუდმივად განახლებას ახდენს განათლებისა და კულტურის სამინისტრო და ევროპის საზოგადოებრივი პალატა, და ეს არის კიდევ ერთი საშუალება პედაგოგი–კონსულტანტის ხელში იმ რთული ამოცანის შესრულებისას, რომელიც მის წინაშეა დაყენებული.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება პროფესიული აღზრდის საკითხებში საკონსულტაციო სამსახურის შესახებ შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ქარტიაში – პროფესიული აღზრდის საკითხებში საკონსულტაციო სამსახური, ასევე პ.ა.ს.კ.ს.–ის ინტერნეტ–საიტზე

(www.moec.gov.cy/ysea/index.html).

კავშირი განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან

განათლებისა და კულტურის სამინისტროში მიმართვისას ყველა მოქალაქისთვის რეკომენდებულია გარკვეული პროცედურის და იერარქიის გავლა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საამისოდ საფუძვლიანი მიზეზები არსებობს. საშუალო განათლების გამგის სახელზე გაგზავნილი წერილების გადაცემა ხდება ადგილობრივი გამგეების, ინსპექტორებისა და განათლების სამსახურის უფროსი თანაშემწეების მეშვეობით, რომლებიც ასევე დაურთავენ წერილობითი ფორმით საკუთარ შენიშვნებსა და კომენტარებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ განათლების სამსახურის რეგიონალურ განყოფილებებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღების მიზნით, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ყველა ზემოაღნიშნულ თემასთან.

• ნიქოზიის საოლქო რაიონული ადმინისტრაციის მდივანი:
განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 1434, ნიქოზია
ტელ: 22800633, ფაქსი: 22428268.

• ლიმასოლის საოლქო რაიონული ადმინისტრაციის მდივანი:
ტელ: 22800632, ფაქსი: 22428268.

• ლარნაკასა და ფამაგუსტას საოლქო რაიონული ადმინისტრაციის მდივანი:
ტელ: 22800634, ფაქსი: 22428268.

• პათოსის საოლქო რაიონული ადმინისტრაციის მდივანი:
ტელ: 22800635, ფაქსი: 22428268.

საშუალო განათლების გამგესთან მიმართვის აუცილებლობის შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას შემდეგ მისამართზე:

• საშუალო განათლების გამგე,
განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 1434, ნიქოზია.
ტელ: 22800630 - 22800631, ფაქსი: 22428268.

საშუალო განათლების მთავარ ინსპექტორთან მიმართვის აუცილებლობის შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას შემდეგ მისამართზე:

• საშუალო განათლების მთავარი ინსპექტორი
განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 1434, ნიქოზია.
ტელ: 22800934 - 22800936, ფაქსი: 22800862.

ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს ყველა სასკოლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო) მისამართები, ტელეფონები და ფაქსის ნომრები განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინტერნეტ–საიტზე შემდეგ მისამართზე: www.moec.gov.cy.

უმაღლესი განათლება კვიპროსზე

სახელმწიფოს პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას პირობები, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ასევე იმაში, რომ კვიპროსს დაუმკვიდრდეს უმაღლესი განათლებისა და კვლევების საერთაშორისო და რეგიონალური ცენტრის სტატუსი.

ამჟამად კვიპროსზე მოქმედებენ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა შორის არიან როგორც უნივერსიტეტის სტატუსის მქონე სასწავლებლები, ასევე ისეთები, რომელთაც ეს სტატუსი არ გააჩნიათ.

სახელმწიფო უნივერსიტეტები

კვიპროსის უნივერსიტეტი (www.ucy.ac.cy)

უნივერსიტეტი დაფუძნდა განათლების მიღებაში კვიპროსის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ასევე კვიპროსის რესპუბლიკის სოციალური, ეკონომიკური და სხვა მიზნების დაკმაყოფილების მიზნით. ხდება სამეცნიერო გამოკვლევების წახალისება და დასპონსორება ყველა სკოლაში, ეს თავისებური წვლილია უმაღლესი განათლების განვითარებაში და ემსახურება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს და საჭიროებებს.

კანონი, რომლის საფუძველზეც იქნა დაარსებული კვიპროსის უნივერსიტეტი, მიღებული იქნა წარმომადგენელთა პალატის მიერ 1989 წელს. კვიპროსის უნივერსიტეტმა თავისი პირველი სტუდენტები 1992 წელს მიიღო. დღესდღეობით უნივერსიტეტში წარმოდგენილია სწავლის სამსაფეხურიანი პროგრამა: დიპლომი (პირველი საფეხური), მაგისტრის ხარისხი (მეორე საფეხური) და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (მესამე საფეხური).

კვიპროსის ღია (დაუსწრებელი) უნივერსიტეტი (www.ouc.ac.cy)

კვიპროსის ღია უნივერსიტეტი დაარსდა იმ კანონის თანახმად, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ 2002 წელს დაამტკიცა, და სასწავლებელმა თავისი პირველი სტუდენტები 2006 წელს მიიღო დიპლომის შემდგომ ორი პროგრამით დისტანციური სწავლისთვის: განათლების კათედრის პროგრამა და ჯანდაცვის დაწესებულებების მართვა. დღეისთვის ასევე

წარმოდგენილიადიპლომისშემდგომიპროგრამა„ბერძნულიციცვილიზაციის კვლევა“ და დიპლომის შემდგომი პროგრამა „ინფორმაციული სისტემების სპეციალისტი“.

კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (www.cut.ac.cy)

კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი გაიხსნა იმ კანონის საფუძველზე, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2003 წელს, და სასწავლებელმა პირველი სტუდენტები 2007 წლის სექტემბერში მიიღო. კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი სტანდარტული ტიპის უნივერსიტეტია, რომელშიც წარმოდგენილია გამოყენებით მეცნიერებებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები.

კერძო უნივერსიტეტები

წარმომადგენელთა პალატამ 2005 წელს მიიღო კანონი 109 (1) კვიპროსზე კერძო უნივერსიტეტების შექმნის თაობაზე. პირველმა კერძო უნივერსიტეტებმა კვიპროსზე მუშაობა დაიწყეს მინისტრთა საბჭოს მიერ 2007 წლის 12 სექტემბერს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

1. ფრედერიკის უნივერსიტეტი (www.frederick.ac.cy)

2. კვიპროსის ევროპული უნივერსიტეტი (www.euc.ac.cy)

3. ნიქოზიის უნივერსიტეტი (www.unic.ac.cy)

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

უმაღლესი განათლების მიღება კვიპროსზე ასევე შესაძლებელია მთელ უმაღლესი განათლების რიგ სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელთაგან არცერთს არ გააჩნია უნივერსიტეტის სტატუსი. ამჟამად შემდეგი უმაღლესი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები:

• **კვიპროსის ტყის კოლეჯი** – სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო (ტელ: +357-25 813606, www.moa.gov.cy/fc).

• **კვიპროსის სასტუმროების ბიზნესის უმაღლესი სკოლა** – შრომისა და სოციალური დაზღვევის სამინისტრო (ტელ:+357-22 404800, hhic@cytanet.com.cy).

• **ხმელთაშუა ზღვის მართვის ინსტიტუტი** – (შრომისა და სოციალური დაზღვევის სამინისტრო (ტელ:+357-22 806000, www.kepa.gov.cy).

• **პოლიციის აკადემია** – იუსტიციის სამინისტრო (ტელ:+357-22 808030, www.police.gov.cy).

კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

დღეისათვის კვიპროსზე მოქმედებს 25 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება (კ.უ.ს.დ.), რომელთაგან ზოგიერთს ნიქოზიის განყოფილებასთან ერთად აქვს ფილიალები კვიპროსის სხვა ქალაქებშიც. კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები არ ატარებენ უნივერსიტეტის სტატუსს, თუმცა ამ სასწავლებლებში წარმოდგენილია როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული განათლებაც დიმპლომამდელ და დიპლომის შემდგომ სტადიაში.
კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც პასუხს აგებს კ.უ.ს.დ.–ის მიერ შეთავაზებული პროგრამების ხარისხზე და დაკავებულია ამ პროგრამების შეფასებით და ანალიზით, წარმოადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის კომიტეტი, რომელიც შედის ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის შემადგენლობაში. ამ დროისთვის კ.უ.ს.დ.–ის პროგრამების უმრავლესობამ უკვე გაიარა შემოწმება და მოწონებულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის კომიტეტის მიერ. ეს პროგრამები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

• აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგაც გაიცემა შემდეგი დოკუმენტები: მოწმობა განათლების შესახებ (1 წელი), დიპლომი (2 წელი) და გამოსაშვები დიპლომი (3 წელი). ამ პროგრამების შესასწავლად აუცილებელია საშუალო განათლების შესახებ ატესტატის ან სხვა თანაფარდი დოკუმენტის წარდგენა.
• პირველი ციკლის პროგრამები 4 აკადემიური წლის ხანგრძლივობით, რომელთა გავლის შემდეგაც გაიცემა დიპლომი და ხდება ბაკალავრის ხარისხის მინიჭება. ამ პროგრამების შესასწავლად აუცილებელია საშუალო განათლების შესახებ ატესტატის ან სხვა თანაფარდი დოკუმენტის წარდგენა.
• მეორე ციკლის პროგრამები 2 აკადემიური წლის ხანგრძლივობით, რომელთა გავლის შემდეგაც ხდება მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მინიჭება. ამ პროგრამების შესასწავლად აუცილებელი მოთხოვნაა დიპლომის ან ბაკალავრის ხარისხის ქონა, ან სხვა თანაფარდი დოკუმენტის წარდგენა.

აკადემიური ხარისხების ატესტაცია (www.kysats.ac.cy)

ლისაბონის 1997 წლის შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ ჩამოაყალიბეს ეროვნული კომიტეტები, რომელთა მიზანია უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული აკადემიური ხარისხების ატესტაცია. კვიპროსის რესპუბლიკამ, რომელიც ევროკავშირის წევრია და რომელიც მიუერთდა ლისაბონის შეთანხმებას, აკადემიური ხარისხების ატესტაციის კვიპროსის კომისია (ა.ხ.ა.კ.კ.).

იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამ კომისიის მუშაობას

არეგულირებს, ა.ხ.ა.კ.კ. ამოწმებს აკადემიურ ხარისხებს, რომლებიც:

ა) მიენიჭება აღიარებული სასწავლო დაწესებულებების მიერ, ან

ბ) დაკავშირებულნი არიან ცოდნის აღიარებულ და შემოწმებულ სფეროებთან.

კანონის მიხედვით, „აკადემიურ ხარისხად“ ითვლება ნებისმიერი დიპლომი, ხარისხი ან მოწმობა, რომელიც გაიცემა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ, და რომელიც ამოწმებს, რომ მისმა მფლობელმა წარმატებით დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში.

კვიპროსის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღების წესი

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

კვიპროსის უნივერსიტეტში, კვიპროსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში და სასტუმროების ბიზნესის უმაღლეს სკოლაში მიღება ხდება:

ა) მისაღები გამოცდის ქულის მიხედვით, რომელსაც დააგროვებს თითოეული აბიტურიენტი ერთიან სახელმწიფო გამოცდაზე, ადგილების განაწილება ხდება დაწყებული იმ აბიტურიენტიდან, ვინც ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა. აბიტურიენტები განაცხადებენ თავიანთი უპირატესობების შესახებ, რომელთა გათვალისწინება ხდება იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მათი ადგილი გამოცდების შედეგების სიაში. ერთიან სახელმწიფო გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

• კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ან მოქალაქეებს, რომელთაც ერთერთი მშობელი კვიპროსელი ჰყავს, არიან სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ან სახელმწიფო საშუალო სკოლის ლიცეუმის სტადიის კურსდამთავრებულნი, ნიქოზიის იმ ინგლისური სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეები ან კურსდამთავრებულნი, რომელიც მუშაობს „ინგლისური ენის შესახებ (მართვა და კონტროლი)“ კანონის და მისი ყველა შესწორების საფუძველზე, ან კერძო სკოლებისა, რომლებიც გახსნილია და მუშაობენ „კერძო სკოლების შესახებ“ კანონის და მისი ყველა შესწორების საფუძველზე.
• კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც არიან ლიცეუმის სტადიის იმ საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ან კურსდამთავრებულნი,

რომელიც კანონიერად ახორციელებს თავის საქმიანობას სხვა ქვეყანაში, იმ პირობით, რომ წარმოადგენს მოწმობას ამ ქვეყნის დიპლომატიური ან სხვა კომპეტენტური სტრუქტურიდან, რომელიც ამოწმებს, რომ ეს გამოსაშვები ატესტატი, რომელსაც ფლობს ან აპირებს რომ მიიღოს მოწმობის წარმომდგენმა, უფლებას აძლევს მას ჩააბაროს ამ ქვეყნის შესაბამის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

• სოფლის მცხოვრებლებს ან მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ სკოლის დამამთავრებელ კლასში ან არიან სკოლის კურსდამთავრებულნი, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.
ბ) GCE–ს (მოწმობა საერთო განათლების შესახებ ან სიმწიფის ატესტატი) ან სხვა აღიარებული გამოცდების საფუძველზე (მხოლოდ კვიპროსის უნივერსიტეტში და კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტში შესასვლელად).
გ) განსაკუთრებული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც დადგენილის კვიპროსის უნივერსიტეტის და კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ.
კვიპროსის ღია უნივერსიტეტში მიღება ხდება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება კანდიდატების სია.

კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

კვიპროსის კერძო უმაღლეს სასწავლებლებში მიღება ხდება გამოსაშვები ატესტატის ქულის, როგორც მინიმალური კრიტერიუმის, საფუძველზე, თუმცა შესაძლო მოთხოვნა შეიძლება იყოს ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურება.

საკონტაქტო ინფორმაცია

უმაღლესი განათლება:

ინტერნეტ–გვერდები: www.highereducation.ac.cy
www.moec.gov.cy
ელექტრონული ფოსტა: daae@moec.gov.cy
ტელ: 22 800616/617
ფაქსი: 22 427560

საგამოცდო სამსახური:

ინტერნეტ–გვერდი: www.moec.gov.cy
ელექტრონული ფოსტა: yp_exetaseon@moec.gov.cy
ტელ: 22 800626/763
ფაქსი: 22 427562

განათლებისა და კულტურის სამინისტრო
კვიპროსის პედაგოგიური ინსტიტუტი